



კონსტანტინე ალიბეგაშვილი

„და სულიწმიდა უფალი და ცხოველმყოფელი,
რომელი მამისაგან გამოვალს...“ (მრწამსი)



მართლმადიდებლური ეკლესიის სწავლება
სულიწმიდა ღმერთის შესახებ

თბილისი
1998

**თბილისის სასულიერო სემინარიის IV კურსის სტუდენტის
კონსტანტინე ალიბეგაშვილის**

სადიპლომო ნაშრომი

თემაზე: ექლესიის სწავლება სულიწმიდა ღმერთის შესახებ.
მტკიცება წმ. წერილისა და წმ. მამების საფუძველზე

ხელმძღვანელი: დეკანოზი გიორგი (სხირტლაძე)

თბილისი 1998 წ.

1. შესავალი
2. სულიწმიდა ღმერთი, ერთარსი მამისა და ძისა:
 - ა) მტკიცება – ძველი აღთქმიდან
 - ბ) მტკიცება – ახალი აღთქმიდან
3. სულიწმიდა ღმერთის პიპოსტასური თვისება:
 - ა) სულიწმიდის გამომავლობის საკითხის განხილვა
წმ. წერილის საფუძველზე.
 - ბ) სულიწმიდის გამომავლობის საკითხის განხილვა წმ. მამებისა და ექლესიის
განმანათლებელთა საფუძველზე.
4. დასკვნა
5. გამოყენებული ლიტერატურა

შესავალი

„უდიდესი შენაძენია – დოგმატების შესწავლა“¹
წმ. კირილე იერუსალიმელი

ქრისტეს ექლესიის ისტორიის მანძილზე, შეიძლება ითქვას, მისი დაარსების პირველსავე ხანებშიც კი იყვნენ ადამიანები, რომლებიც ცდილობდნენ ექლესიის წიაღში შემოეტანათ დამახინჯებული სწავლება ღმერთისა და ქრისტეს ექლესიის შესახებ.² ჭეშმარიტი სარწმუნოების შერყვნის მიზნით ზოგიერთი მათგანი ცდილობდა ჭეშმარიტ ღმერთად მხოლოდ მამა ღმერთი წარმოეჩინა, უარყოფდა რა ძესა და სულიწმიდას, მაგრამ, მებრძოლი ქრისტეს ექლესია ყოველთვის მედგრად იცავდა ჭეშმარიტ საღვთისმეტყველო თუ საეკლესიო სწავლებას.³ მაგალითად, იოანე მახარებელი არაერთხელ აღნიშნავს თავის ეპისტოლებში, რომ: „ესე არს ანგიქრისტებ რომელმან უარყო მამაი და ძე. ყოველმან რომელმან უარყოს ძე, არცა მამაი არს მის თანა“ (1-ომ. 2, 22-23). სხვაგან კი ამბობს: „რომელი ეგოს მოძღვრებასა ზედა ქრისტესსა, მის თანა ძეცა და მამაიცა არს.“ (2-ომ. 1,9). იუდა მოციქული ასევე ამოწმებს: „რამეთუ

¹ წმ. კირილე იერუსალიმელი. Оглас. поуч. IV, 2;

² იხ. შედარ: II იოანე, 7-10; გალ:1, 6-12, 1 ტიმ: 4, 1-3; 6, 20-21;

³ იხ. შედარ: 1 ტიმ: 4, 6-16; რომ: 16, 17-18; ტიმ: 3,10;

შემო-ვინმე-ვიდეს კაცნი, რომელნი პირველვე წერილ იყვნეს ამას საშჯელსა, უღმრთონი, რომელნი მადლსა დმრთისა ჩუქინისასა გარდააქცევენ არაწმიდებად და მხოლოსა მფლობელსა და უფალსა ჩუქნისა იესუ ქრისტესა უარყოფენ.“ (იუდ; 1,4).

ჭეშმარიტი სარწმუნოების დაცვის მიზნით, როგორც ვიცით, ეკლესიის მიერ მოწვევულ იქნა შვიდი მსოფლიო საეკლესიო კრება, რომელთაგან პირველ ორ მსოფლიო საეკლესიო კრებაზე¹ დამტკიცდა სიმბოლო სარწმუნოებისა, ანუ მრწამსი, რომელსაც დედა-ეკლესია დღემდე უცვლელად აღიარებს და რომელშიც გადმოცემულია მართლმადიდებელი ეკლესიის საღვთისმეტყველო და საეკლესიო დოგმატები,² რომელთაგან ერთ-ერთი, კერძოდ, დოგმატი სულიწმიდის შესახებ, წინამდებარე ნაშრომის ძირითად თემას წარმოადგენს.

ის, რომ სულიწმიდა ერთარსია მამისა და ძისა, და ისეთივე ღმერთია, როგორც მამა და ძე, რომელსაც გააჩნია საკუთარი პიპოსტასური თვისება, კერძოდ ის, რომ იგი მარადიულად გამოდის მამა ღმერთისაგან – მრავლისათვის დღესაც მიუდებელ სწავლებად რჩება და ზოგიერთი მათგანის მიერ ადგილი აქვს ზემოაღნიშნული დოგმატის დამახიჯებას, ამიტომ, წინამდებარე ნაშრომით მიზნად დავისახეთ წარმოგვედგინა ძველი და ახალი აღთქმიდან ადგილები, სადაც წარმოჩენილია სულიწმიდა ღმერთი, როგორც თანაარსი მამისა და ძისა, და მოგვეყვანა წმ. მამებისა და ეკლესიის განმანათლებლების ნაშრომებიდან მაგალითები, საიდანაც მტკიცდება, რომ სულიწმიდის პიპოსტასური თვისებაა მარადიული გამომავლობა მამა ღმერთისაგან.

სულიწმიდა ღმერთი, თანაარსი მამისა და ძისა

ა) მტკიცება – ძველი აღთქმიდან:

ღმერთის სამპიროვნების ჭეშმარიტება, მისი ერთარსობა, მთელი სიცხადითაა გადმოცემული ახალ აღთქმაში; მაგრამ გარკვეულ დონეზე ცნობილი იყო ძველ აღთქმაშიც. დაწყებული შესაქმის პირველი თავებიდან მრავალი მინიშნებაა მოცემული. ამ უდიდესი, უმაღლესი საიდუმლოს შესახებ, რომელიც არ შეიძლება ითქვას, რომ სავსებით თვალნათელია, გასაგებია, მაგრამ მოცემული და ნაწილობრივ გასაგები იყო ძველი იუდეველებისათვის,³ ხოლო მითუმეტეს გასაგებია ჩვენთვის, ქრისტიანებისათვის ახალადოქმისეული გამოცხადების შემდეგ.

შესაქმეში ძველადოქმისეული მინიშნებები იმის შესახებ, რომ ღმერთი ერთპიროვანი კი არ არის, არამედ სამპიროვანი (მამის, ძის და სულიწმიდის სახით), შეიძლება პირობითად რამდენიმე ნაწილად დავყოთ:

ა) ადამიანის შექმნამდე. მაგ:

„და თქუა ღმერთმან: ვქმნეთ კაცი ხატებისაებრ ჩვენისა და მსგავსებისაებრ.“ (შესაქ. 1,26)

ბ) დაცემული ადამიანის სამოთხიდან განდევნამდე. მაგ:

„და თქუა უფალმან ღმერთმან: აპა, ადამ იქმნა, ვითარცა ერთი ჩუქნგანი, მეცნიერ კეთილისა და ბოროტისა. და აწ ნუსადა მიყოს ხელი თვისი და მოიღოს ხისაგან ცხორებისა, და ჭამოს და ცხონდეს უკუნისამდე.“ (შესაქ. 3,22)

გ) ბაბილონის გოდოლის აშენების მცდელობისას, ადამიანთა ენების არევამდე. მაგ:

„და თქუა უფალმან ღმერთმან: აპა ნათესავი ერთ და ბაგენი – ერთ ყუველთა, და ამის იწყეს ქმნად და აწ არა დააკლეს მათგან ყოველნი, რაოდენთაცა ინებონ ქმნად, მოვედით, გარდავიდეთ და შეურინეთ მათ ენანი მუნ, რათა არა ესმოდის თვითოეულსა ხმაი მოყუსისა.“ (შესაქ. 11,6-7)

¹ ი. „დოგმატურ-ისტორიული საკითხები“ – შემდგ. გ. რუხაძე 1994წ. გვ. 6ა, ბ.

² დოგმატების შესახებ – ი. „Правосл.-Догмат Богосл.“ Архим. Макарія томъ I, стр. 3-28.

³ „Православно-Догматическое Богословие“ – Архимандрита Макарія, 1849 г. томъ I, ст. 211.

წმ. წერილის ამ მუხლებიდან თვალნათლივ ჩანს, რომ ღმერთი ბჭობს, საუბრობს ვიდაცასთან, კონკრეტულად კი ვისთან? არ შეიძლება დაშვება, თითქოს იგი ბჭობდა ანგელოზებთან, როგორც ამას იუდეველები¹ და მწვალებლები ამტკიცებენ. ასეთი აზრი

ა) ადამიანური აზროვნების დაქვეითებაზე მეტყველებს, რომელსაც არ შეუძლია გაიაზროს ღმერთი, როგორც ყოვლადბრძენი და ყოვლისშემძლე არსება, რომელიც არ საჭიროებს ადამიანის შექმნისას, ან ნებისმიერი სხვა ქმედებისას თავისივე მსახურებთან ბჭობას, კერძოდ ანგელოზებთან.

ბ) ეწინააღმდეგება ასევე წმ. წერილს, სადაც ყოველი ქმედება შესაქმისა მიეწერება, მიეკუთვნება მხოლოდ ერთადერთ ღმერთს, მაგ:

„ესრეთ იტყვის უფალი, მსხველი შენი და გამომზელი შენი მუცლითგან: მე ვარ უფალი შემასრულებელი ყოველთა, გარდავართხ ცაი მარტომან და დავამყარე ქვეყანა.“ (ესაია 44,24)

და საერთოდ უარყოფს, რომ ვინმე ყოფილიყო რაიმესათვის მისი თანამბჭობელი, თავის თავის გარდა.

„ვინ ცნა გონებაი უფლისაი, ანუ თანამზრახვალ მისსა იქმნა, რომელმანცა მოზავებულ-ყო იგი? ანუ რაამე მიმართ განაზრახა და მოაზავა იგი ანუ ვინ უჩუენა მას მსჯავრი, ანუ გზაი გულისხმის-ყოფისა ვინ უჩუენა მას? ანუ ვინ წინასწარ მისცა მას, და ნაცვლად მიეგოს მას?“ (ესაია 40,13-14)

არ შეიძლება ასევე იუდეველების სხვა აზრზე დათანხმება, თითქოს წმ. წერილის ზემოთ მოხსენებულ მუხლებში ღმერთი საუბრობს თავის თავში, ისე როგორც ადამიანები საუბრობენ ხანდახან რაიმე საქმის აღსრულების წინ საკუთარ თავთან ძალის მოსაკრებად, აღსაძერელად.² რამეთუ

ა) უცნაურია წარმოსადგენად, რომ ღმერთი საჭიროებდეს საქმის აღსასრულებლად ამგვარ თვით-აღძვრას: „მართლაც უცნაური ამაოდმეტყველებაა, შენიშნავს წმ. ბასილი დიდი: ამტკიცო, რომ ვიდაცა ზის და თავის თავს უბრძანებს, ზედამხედველობს, აიძულებს მბრძანებლურად და დაუინებულად.“³

ბ) განსაკუთრებული აღნიშვნის დირსია დგთის ბჭობა მრავლობით რიცხვში: „აპა ადამ იქნა ვითარცა ერთი ჩუენგანი.“ (შესაქ. 3,22) იუდეველთა აზრი, რომ დაგვეშვა, მაშინ ეს მუხლი ასე უნდა გაგვეგო: „აპა, გახდა ადამი, როგორც ერთი ჩემთაგანი“, ხოლო დანარჩენი არსებანი, რომლებთანაც ღმერთს შეეძლო ბჭობა, მათ შესახებ იუდეველებს და საერთოდ არასწორად მოაზროვნეთ არ შეუძლიათ მიუთიოონ და ვერც მიუთიოთებენ.⁴

ახლა რჩება კიდევ ერთი, საბოლოო თვალსაზრისი, წმ. მამებისა და ეკლესიის განმანათლებელთა თვალსაზრისი, რომელიც აღიარებს და იმარხავს ყოველი მართლგონიერი ქრისტიანი, – წმ. წერილის ზემოთაღნიშნულ მუხლში ღმერთი ბჭობდა თავის თავში, მაგრამ მხოლოდ ღმერთი გაგებული არა როგორც ერთი პირი (პიპოსტასი), არამედ ერთი არსობით და სამი პიროვნებით.⁵

ამ თვალსაზრისს გააჩნია ჭეშმარიტების ყველა ნიშანი:

ა) თუკი ღმერთი ერთარსია, სამი დამოუკიდებელი და თანადირსი პირია მამა, ქე და სულიწმიდა ღმერთი, მაშინ მასში ბჭობა შესაძლებელია, ბუნებრივია და სავსებით ღირსეული.

ბ) ზუსტად შეესაბამება წმ. მოსეს მიერ მოთხოვნილ წმ. წერილის ზემოთაღნიშნულ მუხლებს, სადაც ერთადერთი ღმერთი საუბრობს, მაგრამ მრავლობით რიცხვში თავის თავთან, ან თავისთავში:

¹ Vid. apud Basil. hom. IX in Hexaëm

² “Правосл. Догматич. Богословіє”. Архимандр. Макарія, 1849 г. томъ I, ст. 212.

³ Твор. св. Отц. V, стр. 171.

⁴ “Правосл. Догматич. Богословіє”. Архимандр. Макарія, 1849 г. томъ I, ст. 214.

⁵ “Правосл. Догматич. Богословіє”. Архимандр. Макарія, 1849 г. томъ I, ст. 214.

„და თქუა ღმერთმან: ვქმნეთ კაცი ხატებისამებრ ჩუენისა და მსგავსებისამებრ“ და „თქუა უფალმან ღმერთმან: მოვედით, გარდავიდეთ და შეურივნეთ მათ ენანი მუნ.“ (შესაქ. 1,26; 3,22; 11,6-7)

გ) ბოლოს მტკიცდება უფლის მიერ გამოთქმული სიტყვების კავშირით:

„შევქმნათ კაცი ჩვენს ხატად“; წმ. ჟამთააღმწერელი აგრძელებს: „და შექმნი ღმერთო კაცი, ხატად ღვთისა შექმნი იგი.“ სიტყვა: „შევქმნათ“ – ეკუთვნის მას, ვისზეც ითქვა: „და შექმნი“ და გამოთქმა: „ჩვენს ხატად“ ასევე აღნიშნავს, რომ „ღვთის ხატად“.¹

მეორე ადგილას ღვთის სიტყვა: „აპა გახდა ადამი როგორც ერთი ჩვენთაგანი“, თვალნათლივ მიუთითებს იმ სიტყვებზე, რაც ეთქვათ ადამს და ევას ცდუნებამდე: „განგეხუნებ თქუენ თუალნი და იყვნეთ, ვითარცა ღმერთინ.“ (შესაქ. 3,5)

უფლის გამოთქმიდან: „აპა გახდა ადამი როგორც ერთი ჩვენთაგანი“, სიტყვები – „ერთი ჩვენთაგანი“ არ შეიძლება მიეკუთვნოს ღმერთის გარდა სხვას, არამედ მხოლოდ ღმერთს, ანუ ღმრთის პირებს.²

ასევე შეიძლება ითქვას მესამე ადგილზე: „აბა ჩავიდეთ და აურიოთ მათ ენები.“

ძველ აღთქმაში სხვა ადგილებიც მიუთითებენ ერთად-ერთი ღმერთის ერთ არსობაზე და სამპიროვნებაზე. მაგ.:

ა) ჟამთააღმწერელი წარმოგვიდგენს ღმერთის გამოცხადებას აბრაამის მიმართ მამრეს მუხნართან.

„ხოლო ეჩუენა მას ღმერთი მუხასა თანა მამბრესსა, ჯდა რა იგი კართა თანა კარავისა თვისისათა შუადღე. და აღმხილველმან თუალთა მისთამან იხილა, და აპა, სამნი კაცნი ზედა მოადგეს მას და იხილა რაი, მირბიოდა შემთხუევად მათდა კარისაგან კარვისა თვისისა და თაყუანის-სცა ქუეყანასა ზედა და თქუა: უფალო, უკუგოუ ვპოვე სადამე მადლი წინაშე შენსა, და ნუ თანა-წარპხდები მონასა შენსა.“ (შესაქ. 18,1-3)

„ხედავთ? კითხულობს ნეტარი ავგუსტინე:³ აბრაამი ხვდება სამს, მაგრამ თაყვანისცემს როგორც ერთს და ევედრება როგორც ერთს. სამის ხილვით მან გაიაზრა ყოვლადწმიდა სამების საიდუმლო, თაყვანისცა რა ერთიანად როგორც ერთს, აღიარა ღმერთის ერთარსობა და სამპიროვნება, ეს ფაქტი იმდენად შესანიშნავია, რომ თავად სამი პირი აბრაამს ესაუბრება, როგორც ერთი და არა როგორც სამი. მაგ.: „და პრქუა უფალმან ღმერთმან აბრაამს: რად განიცინნა სარრა თავსა შორის თვისსა მეტყუელმან: აწ სადამე ჭეშმარიტად ვშვა, რამეთუ მე დაბერებულ ვარ?“ (შესაქ. 18,13) ანდა: „ხოლო უფალმან თქუა: არა დავფაროა მე პირისაგან აბრაამ, მონისა ჩემისა, რომელსა ვყოფ მე.“ (შესაქ. 18,17)

ბ) დავით წინასწარმეტყველი ფსალმუნებში მიუთითებს სამყაროს შექმნისას სულიწმიდის მამასთან და ძესთან თანამონაწილეობაზე:

„სიტყვითა ღვთისათა ცანი დაემტკიცნეს, ხოლო სულითა ღვთისათა ყოველი ძალი მისი.“⁴

წმ. მამები განმარტავდნენ,⁵ რომ აქაც მინიშნებაა ღმერთის სამპიროვნებაზე, სადაც, ღვთის სიტყვაში იგულისხმება ძე ღვთისა, ხოლო ღვთის სულში – სულიწმიდა.

ამ მუხლიდან ვიგებთ, რომ შესაქმეში სამი მონაწილე პირია: „მამაი, სიტყუაი და სული წმიდაი; ესე სამნი ერთ არიან.“ (1-ით. 5,7)

დავით წინასწარმეტყველი ჭვრეტდა ყოვლადწმიდა სამების საიდუმლოებას:

„და ესე სიტყვანი არიან დავითის ადსასრულისანი და სარწმუნო არს დავით, ძე იესესი, და სარწმუნო არს კაცი იგი, რომელ დაადგინა უფალმან ... რამეთუ სული უფლისა იტყოდა ამას და სიტყუანი პირისა მისისანი ენასა ჩემსა.“ (2-მეფ. 23,1-3). ახალ-

¹ „Правосл. Догматич. Богословіе“. Архимандр. Макарія, 1849 г. томъ I, ст. 215.

² Св. Василий, въ Твор. св. Отц. VII, стр. 216.

³ Augustin. De tempore Serm. LXVII, n. 2 et LXX, n. 4; ix Sedar: „Правосл. Догматич. Богословіе“. Архимандр. Макарія, 1849 г. томъ I, ст. 216.

⁴ ფს. 32, 6.

⁵ Григ. Богосл. въ Твор св. Отц. IV, стр. 19. Васил. вел., тамъ-же VII, 181, 193;

ქართული ვერსია ასეთია: „ეს არის დავითის უკანასკნელი სიტყვები, რომელიც წარმოსთქვა დავითმა, იქსეს ძემ, კაცმა მაღლით დადგინდულმა: უფლის სული მეტყველებს ჩემით და ენაზე მაჯვს მისი სიტყვა მითხრა ისრაელის ღმერომა, მელაპარაკა ისრაელის კლდე.“¹

აქ, დავით მეფესალმუნე პირველად ახსენებს უფლის სულს – სულიწმიდას, რომელიც მისით მეტყველებს,² შემდეგ ახსენებს მამას – სიტყვებით „მითხრა ისრაელის ღმერომა,“ შემდეგ ძეს – სიტყვებით „მელაპარაკა ისრაელის კლდე.“³

ფსალმუნებში დავით წინასწარმეტყველი იხსენიებს სულიწმიდის თვისებებს, საიდანაც ჩანს, რომ –

იგი სახიერია: „სული შენი სახიერი მიძღვდეს მე ქვეყანასა წრფელსა.“⁴

იგი ყველგანმყოფია: „ვიდრე-მე ვიდე სულისა შენისაგან და პირისა შენისაგან ვიდრე-მე ვივლტოდი? აღ-თუ-ვხდე ცად, შენ მუნ ხარ, შთა-თუ-ვხდე ჯოჯოხეთად, ახლოსვე ხარ“⁵

იგი მაკურთხებელია: „მომეც მე სიხარული მაცხოვარებისა შენისა და სულითა მთავრობისათა დამამტკიცე მე.“⁶

იგი დამკვიდრებულია ადამიანებში: „ნუ განმაგდებ მე პირისა შენისაგან და სულსა წმიდასა შენსა ნუ მიმიღებ ჩემგან.“⁷

იგი ყოვლადსამართლიანია: „უფალსა უყუარან მართალნი, ხოლო რომელსა უყვარს სიცრუე მას სძულს სული თვისი,... რამეთუ მართალ არს უფალი, და სიმართლენი შეიყვარნა...“⁸

იგი შემოქმედია: „გამოავლინო სული შენი და დაპბადნე იგინი და განაახლო პირი ქუეყანისა“⁹

გ) წმ. წერილის დასაწყისშივე ნათქვამია:

„დასაბამად ქმნა ღმერომან ცაი და ქუეყანაი. ხოლო ქუეყანაი იყო უხილავ და განუმზადებელ და ბნელი ზედა უფსკრულთა და სული ღმრთისა იქცეოდა ზედა წყალთა.“ (შესაქ. 1,1-2)

ბასილი დიდი წმ. ათანასე, წმ. იერონიმე და სხვა მრავალი ეგზეგტი სიტყვებში „სული ღმრთისა იქცეოდა წყალთა ზედა,“ გულისხმობდნენ მითითებას მესამე ჰიპოსტასზე – სულიწმიდა ღმერთზე.¹⁰

სულიწმიდის მონაწილეობა შესაქმეში წარმოადგენს იმ ცხოველსმყოფელ ძალას, რომელიც საერთო ბიბლიური გააზრებით განაპირობებს მთელი სამყაროს წარმოქმნას და არსებობას – ადამიანის ჩათვლით.¹¹ თვით სულიწმიდის ქმედება ქაოსზე, აქ ემსგავსება ბუდეში კვერცხებზე მჯდომი ფრინველის ქმედებას, რომელიც ათბობს მათ თავისი სითბოთი მათში სიცოცხლის გაღვივებისათვის.¹²

„სული საღმრთო არს, რომელმან შემქმნა მე და სული ყოვლისა მპყრობელისაი, რომელი მასწავებს მე“ – ამბობს ოობი (33,4) და აქ განმარტება ზედმეტია.

¹ II მეფ: 23, 1-3.

² იხ. შედარ: II პეტრე 1,21.

³ იხ. შედარებები: გამოსვლა. 17, 5-6 და 1 კორინ: 10, 4. ასევე ქრისტეს სახელის მოხმობით საშუალება გვეძლევა ჩვენში მოვაპიროვო აღმოცენებული ცოდვები, რაზეც დავით მეფესალმუნე წინასწარმეტყველებს. ფს. 136, 9.

⁴ ფს. 142, 10.

⁵ ფს. 138, 7-8.

⁶ ფს. 50, 12.

⁷ ფს. 50, 11.

⁸ ფს. 10, 5-7. ზემოაღნიშნული მუხლი, ახალი რედაქციით ასეა წარმოდგენილი: „უფალი მართალს გადაარჩენს, ხოლო ბოროტი და ძალადობის მოყვარული სძულს მის სულს... რადგან მართალია უფალი, უყვარს სიმართლე, გულწყველი იხილავს მის სახეს.“

იხ. „ახალი აღთქმა და ფსალმუნები“ ბიბლიის თარგმნის ინსტიტუტი, სტოკოლმი, 1991წ.

⁹ ფს.: 103, 30.

¹⁰ „Толковая Библия“ А.П. Лопухина. Петербургъ, 1904 г., стр. 4;

¹¹ იხ. შედარ: დაბ: 2, 7; ფს: 32, 6; ოობ: 27, 3; ეს: 34, 16; დაბ: 17, 28;

¹² II რჯული 32, 11.

დ) ესაია წინასწარმეტყველი, ღირსიყო რა ეხილა უფალი, თავის სიტყვაში ამოწმებს, რომ უფლის კვარცხლბეკთან მდგომი სერაფიმები მოუწოდებდნენ ერთმანეთს სიტყვებით: – წმიდა არს! წმიდა არს! წმიდა არს! უფალი საბაოთ!¹

სიტყვა „წმიდა“-ს სამჯერადი გამეორება აქ მიუთითებს ყოვლადწმიდა სამების თაყვანისცემაზე.²

ამ მუხლის განმარტებისას წმ. მამები და ეკლესიის განმანათლებლები ერთსულოვნად ამტკიცებენ, რომ აქ გამომჟღავნებულია ღმერთის სამპიროვნება და ერთარსობა.³

შემდეგ ესაია წინასწარმეტყველი განაგრძობს დვთის ხილვის აღწერას: „და მესმა ხმისა უფლისა მეტყველისა: ვინ მივავლინო და ვინ წარვიდეს ერისა ამის მიმართ? და ვთქუ: აპა, წარმავლინე მე. და თქუა: ვიდოდე და არქუ ერსა ამას: სმენით გესმასყე და არ გულისხმა-ჰყოთ. და მხედველი ხედავთ და არა იხილოთ.“ (ესაია 6,8-10)

მეუფის ხმაში – როცა ამბობს „მესმა ხმისა უფლისა“, ესაია წინასწარმეტყველი ღმერთის ხმას გულისხმობს, რომელიც ბრძანებს მსახურის მივლინებას, გაგზავნას საღმრთო საქმის ადსასრულებლად, რაზეც ესაია წინასწარმეტყველი თავად გამოთქვამს სურვილს, ემსახუროს უფალს. ახალ აღთქმაში ეს წინასწარმეტყველება მოხსენიებულია მრავალ ადგილას, მაგრამ ჩვენ განვიხილავთ მხოლოდ ერთ დირსშესანიშნავ ადგილს, საქმე მოციქულთაგან, სადაც წარმოჩენილია სულიწმიდა ღმერთი. პავლე მოციქული მიმართავს გულქვა იუდეველებს:

„კეთილად იტყოდა სული წმიდაი ესაიაის მიერ წინასწარმეტყველისა მამათა თქუენთა მიმართ. და თქუა: მივედ ერისა ამის და არქუ მათ: სმენით გესმოდის და არა გულისხმა-ჰყოთ, და ხედვით ხედვიდეთ და არა იხილოთ.“ (საქმე 28, 25-27)

ე. ი. ესაია წინასწარმეტყველს მოესმა სულიწმიდის ხმა, მოესმა მეუფის ანუ ღმერთის ხმა, იგი ჭვრებდა, იმეცნებდა დვთის სამპიროვნებას, მოიხსენებდა რა სულიწმიდას ცალკე პირად მამასთან ერთად, მაგალითად:

ა) „აწ უფალმან მომავლინა მე და სული მისი.“ (ესაია 48,16)

ბ) „სული უფლისაი ჩემზედა, რომლისა ძლით მცხო მე, მახარებელად გლახაკთა მომავლინა მე. განკურნებად შემუსვრილთა გულითა.“ (ესაია 61,1) ან

გ) „და გამოვიდეს კუერთხი ძირისაგან იესესსა და უუავილი ძირისაგან აღმოხდეს. და განისვენოს მის ზედა სულმან ღმრთისამან, სულმან სიბრძნისა და გულისხმის-ყოფისა, სულმან განზრახისა ძლიერებისა, სულმან მეცნიერებისა და ღმრთისმსახურებისა, სულმან შიშისა ღმრთისამან აღავსოს იგი. არა დიდებისაებრ საჯოს, არცა ზრახვისაებრ ამხილოს, არამედ საჯოს სიმართლისა მიერ მდაბლითა სასჯელითა და ამხილოს წარმართებულებით დიდებულთა ქვეყანისათა და დასცეს ქუეყანა სიტყვითა პირისა მისისათა და სულითა ბაგეთა მიერ მოაკუდინოს უთნო.“ (ესაია 11,1-4)

სულიწმიდა უძღვდა ისრაელს უდაბნოში, ორმოცი წლის განმავლობაში, იხსენიებს ესაია წინასწარმეტყველი: „ხოლო იგინი ურჩ ექმნებს და განაძინებს სული წმიდაი მისი, და გარდაექცა მათ უფალი მტრად და იგი ებრძოლა მათ.“ (ესაია 63,10) „და შეღაეს მერმეცა შეცოდებად მისა, განამწარეს მაღალი ურწყულსა.“ (ფს. 77,17) მაგრამ, „და ვითარცა საცხოვარი ველისაგან, შთამოვიდა სული უფლისა მიერ და გზა-უყო მათ. ესრეთ განიყვანე ერი შენი, ყოფად იგი სახელად დიდებისა. რამეთუ შენ ხარ მამა ჩუენი ... უფალო მამაო ჩვენო, მიხსნენ ჩუენ, დასაბამითგან სახელი შენი ჩვენ ზედა არს.“ (ესაია 63,14.16) – ასე მიმართავს ესაია წინასწარმეტყველი დვთის სულს – სულიწმიდას.⁴

¹ ესაია: 6, 3

² იხ. შედარება: სადაც საუბარია მე დვთისას მეორედ მოსვლაზე: „წმიდაა, წმიდაა, წმიდაა უფალი ღმერთი, ყოვლისმაყრობელი, რომელიც იყო, არის და მოვა“ – გამოცხადება 4, 8. შედარება: გამოცხადება 22, 20;

³ რამეთუ, ესაიამ საბაოთ უფალში იხილა მე და მოიხმინა სულიწმიდის ხმა. იხ. შედარება: იოანე: 12, 40-41 და საქმ. მოც.: 28, 25-27.

⁴ ესაია: 63, 14. 16: იხ. შედარ: გამოსვლ. 15, 1-10-11;

ე) სულიწმიდა მაკურთხეველია მამასთან და ძესთან ერთად ძველი აღთქმის ეკლესიისა:¹

თავად უფალმა ღმერთმა ამცნო ძველი აღთქმის მდგდლებს თუ როგორ უნდა ეპურთხათ ისრაელის შვილები:

„ეტყოდა უფალი მოსეს და პრქუა: ეტყოდა აპრონს და ძეთა მისთა და არქუ მათ, და დადგან სახელი ჩემი ძეთა ზედა ისრაელისათა და მე უფალმან ვაკურთხენე იგინი.

- გაკურთხენ შენ უფალმან და დაგიცევინ შენ.
- გამოაჩინენ პირი მისი შენ ზედა და გაკურთხენ შენ.
- მოაქციენ უფალმან პირი მისი შენ ზედა და მოგეცინ შენ მშვიდობაი.“ (რიცხვ. 6,22-27)

როგორც ჩანს – აქ სამჯერ მოიხსენიება, სამ მუხლად უფლის სახელი, რომელიც მხოლოდ ერთადერთ ღმერთს მიეცუთვნება და ყოველ მუხლში გადმოცემულია უფლის მიერ განსაკუთრებულ მადლოდა მინიჭება საკურთხებლისადმი. განა ეს ადგილი არ შეესატყვისება ახალი აღთქმის ერთ-ერთ მუხლს? კერძოდ, პავლე მოციქულის მიერ კორინთელთა მიმართ ეპისტოლებში წარმოთქმულ კურთხევას: „მადლი უფლისა ჩვენისა იესუ ქრისტესი, და სიყვარული დმრთისა და მამისაი და ზიარებაი სულისა წმიდისაი თქვენ ყოველთა თანა. ამინ.“ (2-კორ. 13,13)

ვ) სულიწმიდა მოეფინებოდა და დამკვიდრებული იყო ძველი აღთქმის ეკლესიის წევრებში.² მაგალითად, სულიწმიდა გარდამოვიდა ბალამზე:

„და აღიხილნა თუალნი თვისნი ბალამ და იხილა ისრაელი დაბანაკებული ნათესავად-ნათესავად და იყო სული დმრთისა მის ზედა.“ (რიცხვ. 24,2)

ბალამი ძველი აღთქმის ეკლესის წევრია, როგორც წმ. წერილში არის მოიხსენიებული: იგი ბეყორის ძეა, თვალდია კაცი, ე. ი. წინასწარმეტყველების ნიჭით დაჯილდოვებული, რომელსაც ღვთის სიტყვა ესმის; იგი უფლის ნების აღმასრულებელია;³ ამიტომაც ღირს იყო მიეღო სულიწმიდა, რათა სრულყოფილიყო სულით, ისე როგორც მოსე წინასწარმეტყველი აღნიშნავს წიგნ „გამოსვლაში“.

„ეტყოდა უფალი მოსეს და პრქუა: აპა ეგერა, მიწოდებიყს სახელით ძესელიელ, ქე ურისი, რომელი-იგი არს ოვრაი ტომისაგან იუდასი. და აღვავსო იგი სულითა საღმრთოითა სიბრძნითა და მეცნიერებითა, ყოვლითა საქმითა.“ (გამოსვლ. 31,1-3)

ამ მუხლიდან ნათლად ჩანს, რომ სულიწმიდის გარდამოსვლა მათზე იწვევდა: მათი სულის განმტკიცებას, განბრძნობას. ისინი იძენდნენ ღვთის შემეცნების უნარს. მოკლედ, რომ ვთქვათ ხდებოდა ადამიანის განახლება: მაგალითად, წიგნ „I მეფეთაში“, სადაც მოთხოვთ ებრაელთა პირველი მეფის საულის შესახებ, ნათქამია:

„და მოვიდეს შენზედა სული დმრთისა, და შენცა წინასწარმეტყველებდე მათ თანა და გარდაიცვალო შენ ახალ კაცად“ (1-მეფ. 10,6).

სულიწმიდა ასევე მოიხსენიება ნეკმიას წიგნში სიტყვებით:

„და სული შენი სახიერი მისცენ, რომელმან ასწაოს მათ“ (ნეკმია 9,20).

ძველ აღთქმაში სულიწმიდა წარმოდგენილია როგორც შემგონებელი, სიკეთისაკენ, სახიერებისაკენ წინასწარმეტყველი, რომელიც წინასწარ როგორც მოწყალე მამა წინასწარმეტყველთა მეშვეობით აფრთხილებს რჩეულ ერს, მათ მოსალოდნელ გაუძლებართებაზე და სასჯელზე:

„და განაგრძენ მათ ზედა წელნი მრავალნი, და უწამენ მათ სულითა შენითა და ხელითა წინასწარმეტყველთა შენთასა, და არა ყურად იღებდეს და მიეც იგინი ხელითა შინა ერთა ქუეყანისათა“ – ამბობს ნეკმია (ნეკმია 9,30).

თვითონ წინასწარმეტყველები მომავალში მის კიდევ უფრო განსაკუთრებულ ზემოქმედებას ჰქონებინ განსაკუთრებით რჩეულზე, – მესიაზე. ასე მაგალითად, ესაია წინასწარმეტყველი ამბობს: „და გამოვიდეს კუერთხი ძირისაგან იესესსა ... და განისვენოს მის ზედა სულმან ღვთისამან, სულმან სიბრძნისა და გულისხმის-ყოფისა,

¹ იხ. საქართველოს ეკლესიის 1995 წლის კალენდარი: გვ. 335.

² იხ. საქართველოს ეკლესიის 1995 წლის კალენდარი: გვ. 334.

³ რიცხვ.: 24, 1-13.

სულმან განზრახვისა ძლიერებისა, სულმან მეცნიერებისა და ღვთისმსახურებისა“ (ესაია 11,1-2; 42,1). არის სხვა წინასწარმეტყველებანიც.¹

წინასწარმეტყველები წინასწარმეტყველებდნენ აგრეთვე სულის განსაკუთრებულ გადმოღვრას რჩეულ ხალხზე. მაგ.:

„ჩაგიდგამთ ჩემს სულს და გაცოცხლდებით; დაგსვამთ თქვენს მიწაზე და მიხვდებით, რომ მე უფალმა ვთქვი და აღვასრულებ, ამბობს უფალი.“² და კიდევ,

„აღარ მოვარიდებ ჩემს სახეს მათ, რათა გადმოვდგვარო ისრაელის სახლზე ჩემი სული, ამბობს უფალი ღმერთი“.³

იოველ წინასწარმეტყველთან კი ნათქვამია:

„ამის შემდეგ მოვაფენ ჩემს სულს ყოველ ხორციელზე და გაქადაგდებიან თქვენი ვაჟები და ასულები, თქვენი უხუცესები, ნახავენ სიზმრებს და ჭაბუკები ხილვებს იხილავენ, თქვენს ყმებზეც და მხევლებზეც მოვაფენ იმ დღეს ჩემს სულს, გამოვაჩენ ნიშნებს ცაზე და მიწაზე.“⁴

ამ წინასწარმეტყველებას ეყრდნობა პეტრე მოციქული სულიწმიდის გარდამოსვლის დღეს.⁵

ყოველივე ზემოაღნიშნულის შემდეგ, ჩანს, რომ ძველ იუდეველებს – ა) ჰქონდათ გარკვეული წარმოდგენა ყოვლადწმიდა სამების შესახებ, უკიდურეს შემთხვევაში ზოგიერთ ღირსეულს გარკვეულ დონეზე მაინც, ასეთი დასკვნის საფუძველს იძლევა თალმუდი⁶ და მათი რაბინების ნაშრომები.

ბ) ჰქონდათ წარმოდგენა ძე ღვთისაზე და სულიწმიდაზე, როგორც ღვთის პირებზე და მამასთან მათ თანაარსობაზე, მაგრამ არა იმდენად თვალნათელი როგორც ეს ახალ აღთქმაშია.⁷

სულიწმიდა ღმერთი, ერთარსი მამისა და ძისა.

ბ) მტკიცება – ახალი აღთქმიდან

ადგილები ახალ აღთქმაში, საიდანაც მტკიცდება დოგმატი სულიწმიდის მამასა და ძესთან თანაარსობისა, შინაარსის მიხედვით პირობითად შეიძლება დაიყოს შემდეგ ნაწილებად: 1) სულიწმიდას მიეკუთვნება ღვთაებრივი სახელი; 2) სულიწმიდას გააჩნია ღვთაებრივი ბუნება, იგი თანასწორია და ერთარსია მამისა და ძისა; 3) სულიწმიდას გააჩნია ღვთაებრივი თვისებები; 4) სულიწმიდა ღვთაებრივად მოქმედებს; 5) სულიწმიდა მამასა და ძესთან თანათაყვანისიცემება:

¹ ესაია: 52,13; 53,12; 61,1;

² ეზეკია: 37, 14.

³ ეზეკია: 39, 29.

⁴ იოვ: 3, 1-2.

⁵ საქ. მოც.: 2, 14-19.

⁶ „სეფერ იეცერის“ – (შესაქმის წიგნი) კაბალის უძეველესი ნაწილიდან ჩანს აზრი: „ღმერთი ერთია: მაგრამ თავი გააცხადა სამებაში, სამ სეფერში“ და წიგნის დასაწყისშივე თვალნათლივ განსხვავდებიან ღმერთში ეს სამი სეფერი (I თავის 1 მუხლი). შემდეგ, საუბარია სამ დედაზე, როგორც საგნების მთავარ საწყისზე (I, 2; III, 2-3-4); და სამ მამაზე (VI, 1-3); და ბოლოს ეს სამი ერთარსია, თავისთვალ მყოფადი (VI, 3).

თალმუდის II ნაწილში, მოხე წინასწარმეტყველის სიტყვებში გამოსტკივის აზრი ყოვლადწმიდა სამების შესახებ: „ისმინე ისრაელთ: უფალი ღმერთი ჩვენი, უფალი ერთია“ (მეორე 6, 4). აღსანიშნავია: „არსებობს ორი, რომელთანაც შეერთებულია კიდევ ერთი და ისინი არიან სამი, მყოფი სამად და არსით ერთი. ორი აღნიშნულია „ორ უფლად“ (იეღოვად) და მათთან მიეკუთვნილია კიდევ „ერთი ღმერთი ჩვენი“ (ელოპიმი) და ისინი შეერთებულია ერთად და შეადგენენ სრულ ერთობას.“ იხ. „Правосл. Догмат. Богосл.“ Архимандр. Макарія томъ I, стр. 220.

⁷ უშუალოდ სულიწმიდაზე არის მოწმობა, გამოთქმული ცნობილი რაბინის ილია ლევიტელის მიერ: „ჩვენი „ჩვენი ნეტარი მასწავლებლები სულიწმიდას უწოდებდნენ „შეხინას“, რამეთუ იგი მკვიდრობს წინასწარმეტყველებში.“ მაგრამ „შეხინას“ სახელი (შახანა – ნიშნავს მკვიდრობს), როგორც ცნობილია თალმუდიდან მიეკუთვნებოდა მხოლოდ ერთადერთ ღმერთს (იხ. თალმუდი, ტრაქტატი აბოტი რაბინ ნათანისა, თავი. 34)*. * „Правосл. Догматич. Богословіє“ Архим. Макарія, томъ I, ст. 221.

1) სულიწმიდას მიეკუთვნება დვთაებრივი სახელი:

პეტრე მოციქული ანანიას მხილებისას სულიწმიდას უწოდებს ღმერთს: „ანანია რაისათვის აღავსო გული შენი ეშმაკმან ცრუებად სულისა წმიდისა და გამოხუებად სასყიდელსა მის დაბისასა? ანუ არა, იყო რაი, შენი იყო და, გან-რაიაჲყიდვ, ხელმწიფებასა შენსა იყოა? და რაისათვის დაიდევ საქმე ესე გულსა შენსა? არა ეცრუვე შენ კაცთა, არამედ ღმერთსა“ (საქმე 5,3-4).

ამ სიტყვების არსი შემდეგ შია: როდესაც ანანიამ, თავის ცოლთან საფირასთან ერთად გაყიდა ყანა, ცოლთან შეთანხმებით დამალა ფასი და მხოლოდ ნაწილი მიიტანა და მოციქულთა ფერხთით დადო. იგი ფიქრობდა მოციქულებისაგან, როგორც ადამიანებისაგან დაემალა თავისი ნამოქმედარი. მაშინ მოციქულმა პეტრემ დამნაშავის შესაგონებლად მყაფიოდ თქვა: „შენ ჩვენ კი არ მოგვატყუე, არამედ სულიწმიდას, ჩვენში დამკვიდრებულს,¹ ხალხს კი არ ეცრუე, არამედ ღმერთს.“

არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ მოციქულებში დამკვიდრებულ სულიწმიდაში აუცილებლად იგულისხმება პიროვნება, ნუგეშინისმცემელი, რომელიც მოუვლინა მათ მაცხოვარმა თავის მაგივრად, სული ჭეშმარიტებისა, რომელიც უძლოდა მათ ყოველ ჭეშმარიტებაში, მეტყველებდა მათი ბაგებით, მართავდა მათ ქმედებებს სამოციქულო მსახურების აღსასრულებლად.²

პეტრე მოციქული ასევე ამოწმებს, რომ: „რამეთუ არა ნებითა კაცთაითა მოსადამეიწია წინასწარმეტყუელებაი, არამედ წუევითა სულისა წმიდისაითა იტყოდეს წმიდანი ღმრთისა კაცნი“ (2-პეტრე 1,21).

სულიწმიდა ღმერთზე ასევე ამოწმებს იოანე მახარებელი თავის სახარებაში, როცა იხსენიებს ესაია წინასწარმეტყველებს: „თქუა ესაია: დაუბრმეს მათ თუალნი მათნი, რაითა ვერ იხილონ თვალითა, და დაუსულდეს გულნი მათნი, რაითა არა გულისხმა-ყონ გულითა და მოქცენ, და მე განვკურნე იგინი. ესე თქუა ესაია, ოდეს-იგი იხილა დიდებაი მისი და იტყოდა მისთვის“ (ესაია 12,40-41).

თუ ვინმე დასვამს კითხვას, თუ ვისი დიდება იხილა ესაიამ და ვის ელაპარაკა? ამის შესახებ პავლე მოციქული ამბობს: „კეთილად იტყოდა სული წმიდაი ესაიას მიერ წინასწარმეტყუელისა მამათა თქუებთა მიმართ და თქუა: მივედ ერისა ამის და არქუ მათ: სმენით გესმოდის და არა გულისხმა-ჰყოთ...“ (საქმე 28,25-27). (ესაია 6,8-10) ე. ი. ესაია წინასწარმეტყველმა იხილა სულიწმიდის დიდება, ანუ ღმრთის დიდება, მამასთან და ქესთან ერთად³.

პავლე მოციქული მორწმუნებს დვთის ტაძარს უწოდებს:

„არა უწყითა, რამეთუ ტაძარი ღმრთისანი ხართ, და სული ღმრთისაი დამკვიდრებულ არს თქვენს შორის?“ (1-კორ. 3,16) ცოტა ხნის შემდეგ კი მათ უწოდებს სულიწმიდის ტაძარს: „არა უწყითა, რამეთუ ხორცი ეგე თქუენი ტაძარი თქუენ შორის სულისა წმიდისანი არიან, რომელ-ეგე გაქუს ღმრთისაგან...“ (1-კორ. 6,19)

2) სულიწმიდას გააჩნია ღმრთაებრივი ბუნება, იგი თანასწორია და ერთარსია მამისა და ძისა:

ა) ღმრთაებრივი ბუნება ჩანს:

„ხოლო რაუამს მოვიდეს ნუგეშინის-მცემელი იგი, რომელი მე მოგავლინო თქუენდა მამისა ჩემისა მიერ, სული ჭეშმარიტებისაი, რომელი მამისაგან გამოვალს, მან წამო ჩემთვის“ (იო. 15,26).

¹ იხ. შედარება: 1-კორ. 6, 19; ან რომალ: 8, 11;

² იო. 14, 16, 26: 16, 13: იხ. „Правосл. Догматич. Богословіє“ Архим. Макарія, томъ I, ст. 310.

³ იხ. „Правосл. Догматич. Богословіє“ Архим. Макарія, томъ I, ст. 241.

სიტყვებით: „რომელიც მამისაგან გამოდის,“ აღნიშნავს ნეტარი თეოდორიტე¹ მაცხოვარმა დამოწმა, რომ მამა არის მიზეზი, წყარო სულიწმიდისა. უფალს არ უთქამს მასზე: „მამისაგან გადმოიღვარა“, ან „მამისაგან წარმოიშვა“, არამედ „გამოდის“ – მარადიულობაში. რათა გვიჩვენოს, რომ მათი ბუნება ერთი და იგივეა, რომ მათი არსება შეურწყმელი და განუყოფელია და რომ პირები ერთმანეთთან შეერთებულია, რამეთუ ის, ვინც გამოდის არ შეიძლება განცალკევდეს მისგან, ვისგანაც ის გამოდის. საუბარია მარადიულ გამომავლობაზე².

სიტყვებით: „მან წამოს ჩემთვის,“ „მან გასწაოს თქუენ ყოველი და მოგახსენოს თქუენ ყოველი, რაოდენი გარქუ თქუენ“ (იო. 14,26) – მაცხოვარი გვასწავლის, რომ სულიწმიდა დვთის ერთ-ერთი პირია, ნუგეშინისმცემელი – არა დვთის ძალა, ან ქმედება, არამედ ერთ-ერთი პირი, რომელიც მეტყველებს,³ ისევე განსწავლის და ისევე ამოწმებს, როგორც მამა და ქე.⁴

ბ) სულიწმიდის მამასთან და ძესთან თანასწორობა ჩანს:

1) ნათლობის მცნებიდან:

„წარვედით და მოიმოწაფენით ყოველნი წარმართნი და ნათელ-სცემდით მათ სახელითა მამისაითა და ძისაითა და სულისა წმიდისაითა“ (მთ. 28,19).

აქ თვალნათლივ დასახელებულია სამი პირი: მამა, ბე და სულიტმიდა და ივარაუდება მათი ერთიანი სახელი.

როგორ უნდა გავიგოთ ზემოთაღნიშნული მუხლის სიტყვები? ყოველგვარი ეჭვის გარეშე: – ა) როგორც იაზრებდა ოვით მაცხოვარი და მისი მოციქულები: ჯერ კიდევ ამ სიტყვების წარმოთქმამდე იგი არაერთხელ უცხადებდა მოციქულებს, რომ მამის სახელში იგი გულისხმობდა მამა ლმერთს, რომელმაც მოავლინა იგი ქვეყანაზე.⁵ ძის სახელში – იგი გულისხმობდა თავის თავს, რომელსაც უპვე თავად მოციქულები აღიარებდნენ დვთის ძედ, ლმერთისაგან მოსულად.⁶ ბოლოს, სულიწმიდაში გულისხმობს სხვა ნუგეშინისმცემელს, რომლის მამისაგან წარმოგზავნა მათ აღუთქვა თავის მაგივრად.⁷

მაცხოვარი მოციქულებს არიგებს, რომ ხალხი მოინათლოს არა სახელებით, არამედ მამის, ძის და სულიწმიდის სახელით. ამით მან აღნიშნა ერთიანი და განუყოფელი დირსება სამი დკთაებრივი პირისა, ერთიანი უფლება, ძალა, დიდება და ერთიანი განუყოფელი არსება.⁸ ბ) ასევე იაზრებდა მთელი ქრისტეს ეკლესია, რომელიც თავიდანვე ნათლობას ადასრულებდა მამის, ძისა და სულიწმიდის სახელით და ამხილებდა ერებიკოსებს, რომლებიც ცდილობდნენ ნათლობა შეესრულებინათ მხოლოდ მამის სახელით, თვლიდნენ რა ძესა და სულიწმიდას მამის ძალად, ან თვისებად, ან უმდაბლეს დკთაებად. მაგრამ მაცხოვარი აცხადებს მამის, ძის და სულიწმიდის სახელს, როგორც ერთი დირსების, ერთი დკთაებრიობის, ერთი არსის მქონეს.

წმ. ამბროსი შენიშვნავს: „მხესნელმა ოქგა: სახელითა და არა სახელებითა, არა სხვა სახელია-მამისა, არა სხვა სახელია ძისა და სხვა სულიწმიდისა; არა სამი ან ორი სახელით, არამედ ერთი სახელით, რამეთუ ერთი გმერთია.“⁹

2) წმ. მოციქულ პავლეს სიტყვებიდან:

„ხოლო განყოფანი მადლობანი არიან, და იგივე თავადი უფალი არს. და განყოფანი შეწევნათანი არიან, და იგივე თავადი ღმერთი არს რომელი შეიქმნს ყოველსა ყოველთა შორის, ხოლო თითოეულსა ჩუენსა მოცემულ არს გამოცხადებაი იგი სულისაი

¹ об. “Правосл. Догматич. Богословіє” Архим. Макарія, томъ I, ст. 311.

² Кратк. Излож. Бож. Догматовъ, из кн V противъ ересей, въ Хр. Чт. 1844, IV, стр. 190;

³ მეტყველება პიროვნებისათვის დამახასიათებელი ნიშანია.

⁴ იბ. შედარ: იო: 5,31, 37: 8, 18; ან 1-იო: 5, 6, 9;

⁵ ማ 6, 38-40; 7, 16; 18, 28; 11, 40 ዝዴ ሲበጋ.

⁶ Əm.: 16, 16; om.: 16, 30.

⁷ 99.: 14, 16; 15, 26.

⁸ “Правосл. Догматич. Богословіє” Архим. Макарія, томъ I, ст. 226-227.

⁹ Ambros. de Spirit. S. lib. 1, cap. 14.

უმჯობესისათვის. ... ხოლო ამას ყოველსა შეეწევის ერთი და იგივე სული, განყოფს თითოეულად კაცად-კაცადსა, ვითარცა პნებავს“ (1-კორ. 12,4-7. 11).

სადაც სულიწმიდის მოქმედება სრულიად თანაქმედითია მამა დმერთისა და უფალ იესო ქრისტეს მოქმდებასთან.¹

3) წმ. წერილის სხვადასხვა ადგილებიდან, სადაც ყოვლადწმიდა სამების პირები სხვადასხვა თანმიმდევრობით არიან მოხსენებული:

მაგალითად: ზოგან პირველად იხსენიება მამა, მეორედ ძე, მესამედ – სულიწმიდა (მთ. 28,19); ზოგან პირველად – მამა, მეორედ სულიწმიდა, მესამედ – ძე (1-პეტრ. 1-2); ზოგან პირველად – ძე, მეორედ მამა, მესამედ – სულიწმიდა (2-პორ. 13,13); ზოგან კი პირველად – სულიწმიდა, მეორედ ძე და მესამედ მამა (1-პორ. 12,4-6); რითაც უფრო მკაფიოდ ჩნდება ყოველი პირის ღირსების თანასწორობა.

4) სულიწმიდის მამასთან და ძესთან თანასწორობა და თანაარსობა მტკიცდება იოანე ღვთისმეტყველის სიტყვებიდან: „რამეთუ სამნი არიან, რომელნი წამებენ ცათა შინა: მამაი, სიტყუაი და სული წმიდაი; ესე სამნი ერთ არიან“ (1-იო. 5,7).

ამ მუხლში თვალნათლივაა გაცხადებული დმერთის სამპიროვნება, თანასწორობა პირებისა და ერთარსობა:

სამპიროვნება: მამა, სიტყვა და სულიწმიდა ცალ-ცალკე მოწმებად იწოდებიან, სადაც სულიწმიდა და სიტყვა მამისა თანასწორ მოწმებად არიან წარმოდგენილნი და არა როგორც მის ორ ძალად, ან ქმედებად, არამედ ისეთივე პირებად, როგორც მამა.²

ერთარსობა: თუკი სიტყვასა და სულიწმიდას არ ექნებოდათ იგივე ღვთაებრივი ბუნება, რაც მამას და არ იქნებოდნენ მამის თანაარსი, არამედ ექნებოდათ სხვა ბუნება და იქნებოდნენ შექმნილნი, მაშინ ასეთ შემთხვევაში მამასა და მათ შორის იქნებოდა უსასრულო სიშორე და არანაირად არ შეიძლებოდა ოქმულიყო: „ესე სამნი ერთ არიან“³ არიან“³

ადსანიშნავია, რომ – ა) წმიდა მოციქული იოანე განარჩევს ზეციურ მოწმეთა ერთობას მიწიერ მოწმეთა ერთობისაგან, როდესაც ამბობს: „რამეთუ სამნი არიან, რომელნი წამებენ: სული და წყალი და სისხლი; და სამნივე ესე ერთისა მიმართ არიან“ (1-იო. 5,8). ე.ი. ეს სამი: სული, წყალი და სისხლი ერთი კი არ არიან, არამედ ერთის მიმართ არიან. ხოლო პირველად ამბობს: „ესე სამნი ერთ არიან“ (1-იო. 5,7) და არა ერთის მიმართ არიან. ბ) იოანე მახარებელი ზეციურ მოწმობას უწოდებს ღმრთის მოწმობას (1-იო. 5,9). იგი ჯერ კიდევ სახარებაში მიუთითებდა ღმრთის თითოეული პირის: მამის, ძის და სული წმიდის მოწმობაზე. მაგ. ძე ამბობს: „დადაცათუ მე ვწამო თავისა ჩემისათვის, ჭეშმარიტ არს წამებაი ჩემი, რამეთუ ვიცი, ვინაი მოსრულ ვარ და ვიდრე მივალ“ (იო. 8,14). ასევე: „მე ვარ, რომელი ვწამებ ჩემთვის, და წამებს ჩემთვის მომავლინებელი ჩემი მამაი“ (იო. 8,18). ასევე: „სხუაი არს, რომელი წამებს ჩემთვის და უწყი რამეთუ ჭეშმარიტ არს წამებაი მისი, რომელსა წამებს ჩემთვის“ (იო. 5,32) და ბოლოს: „ხოლო რაჟამს მოვიდეს ნუგეშინის-მცემელი იგი, რომელი მე მოვამლინო თქუენდა მამისა ჩემისა მიერ, სული ჭეშმარიტებისაი რომელი მამისაგან გამოვალს, მან წამოს ჩემთვის“ (იო. 15,26).

სულიწმიდის თანაარსობა მამასა და ძესთან მტკიცდება პავლე მოციქულის მიერ რომაელთა მიმართ ეპისტოლეში გამოთქმული სიტყვებიდანაც:

„ხოლო თქუენ არა ხართ ხორცო შინა, არამედ სულთა, უკუეთუ სული ღმრთისაი დამკვიდრებულ არს თქუენ შორის. უკუეთუ ვისმე სული ქრისტესი არა აქუს იგი არა არს მისი. უკუეთუ ქრისტე თქუენ შორის არს, ხორცნიმცა მკუდარ არიან ცოდვისათვის, ხოლო სული – ცხოველ სიმართლისათვის. უკუეთუ სული იგი აღმადგინებელისა იესუსი მკუდრეთით მკუდორ არს თქუენ შორის, რომელმან-იგი აღადგინა ქრისტე

¹ Васил. вел. противъ Евном. кн. III, въ Твор. св. Отц. VII, стр. 137;

² ი. ი. „Правосл. Догматич. Богословие“ Архим. Макарія, томъ I, ст. 229.

³ ნათქვამია: „და ეს სამი ერთია და არა ერთიანი, რამეთუ ეს სამი ერთარსია, ერთი პირი, პიპოსტასი კი არ არის არამედ – სამი პირი“ შენიშნავს ათანასე დიდი „წმ. სამებაზე“. Athanas. Opp. III β. 606 გვ. 1698წ. პარიზი.

მკუდრეთით, განაცხოველნეს მოკუდავნიცა ეგე ხორცნი თქუენი დამკვიდრებულისა მის მიერ თქუენს შორის სულისა მისისა“ (რომ. 8,9-11).

IX-X მუხლებში იგი სულიწმიდას უწოდებს ქრისტეს სულს, მოიხსენიებს ო მათ ერთ არსებად ყოველგვარი ეჭვის გარეშე და მორწმუნებული სულიწმიდის მკვიდრობას წარმოგვიდგენს თავად ქრისტეს მკვიდრობად.¹ შემდეგ XI მუხლებში კი სულიწმიდას უწოდებს მამის სულს სიტყვებით: „თუ თქვენში იმყოფება მისი სული, ვინც მკვდრეთით აღადგინა იესო... რომელიც თქვენშია დამკვიდრებული.“ ე. ი. „მისი სული“, ანუ ღმერთის სული, მამის, ძის, თანაარსი წმიდა სული, რომელმაც სრულად იცის მამაც და ძეც: „რამეთუ ვინმე იცის კაცმა კაცისაი, გარნა სულმანვე კაცისამან, რომელი არს მის თანა? ეგრეცა ღმრთისაი არავინ იცის, გარნა სულმანვე ღმრთისამან“ (1-კორ. 2,11).

რომელსაც იგივე ნება გააჩნია, რაც მამას და ძეს: „რამეთუ ჯერ უჩნდა სულსა წმიდასა და ჩუენცა რაითა არარაი უმეტესი ტვირთი დავდვათ თქუენზედა, გარნა რომელნი-ესე სასწრაფო არიან“ (საქმე 15,28). ანდა „ხოლო ამას ყოველსა შეეწევის ერთი და იგივე სული, განუყოფს თითოეულად კაცად-კაცადსა, ვითარცა პნებავს“ (1-კორ. 12,11).

რომელსაც ისეთივე მოქმედება ახასიათებს, როგორიც მამას და ძეს: „ხოლო თითოეულსა ჩუენსა მიცემულ არს გამოცხადებაი იგი სულისაი უმჯობესისათვის. რომელსამე მისგან სულისა მისგან მიცემულ არს სიტყუა სიბრძნისაი, ხოლო სხუასა სიტყვაი მეცნიერებისაი მითვე სულითა, და სხუასა სარწმუნოებაი მისვე სულისაგან, რომელსამე მადლი კურნებათაი მისგანვე სულისა“ (1-კორ. 12,7-9).

იგი ისევე შობს ხელახლა ადამიანს და განახლებს მას, როგორც მამა და ძე: „არა საქმეთაგან სიმართლისათა, რომელნი-იგი ვქმნენით ჩუენ, არამედ წყალობითა თვისითა მისენნა ჩუენ, ბანითა მით მეორედ შობისაითა და განახლებითა სულისა წმიდისაითა“ (ტიტ. 3,5).

იგი ადამიანებს უძღვის ჭეშმარიტებაში ისევე, როგორც მამა და ძე: „ხოლო ოდეს მოვიდეს სული იგი ჭეშმარიტებისაი, გიძღვის თქუენ ჭეშმარიტებასა ყოველსა“ (იო. 16,13).

იცის მომავალი და იუწყება ისევე, როგორც მამა და ძე:

„იტყოდის და მომავალი იგი გითხრას თქუენ“ (იო. 16,13).

უკლესიაში ადგენს სამღვდელოებას მამასთან და ძესთან ერთად: „უკრძალენით უკუკ თავთა თქუენთა და ყოველსავე სამწყესოსა, რომელსა-ეგე თქუენ სულმან წმიდამან დაგადგინნა მოღუაწედ და მწყესად უკლესიასა უფლისა ღმრთისასა“ (საქმე 20,28).

სხვადასხვა მუხლების ერთმანეთთან დაკავშირებით ჩანს, რომ სულიწმიდა შეურწყმელ და განუყოფელ მდგომარეობაშია მყოფობითა და ქმედებებით მამასა და ძესთან. მაგალითად, მხენელი ამბობს: „არა გრწამსა, რამეთუ მე მამისა თანა ვარ, და მამაი ჩემ თანა არს? სიტყუათა, რომელთა გეტყვი თქუენ, თავით ჩემით არა გეტყვი, არამედ მამაი ჩემი რომელი ჩემ თანა არს, იგი იქმს საქმესა“ (იო. 14,10). ხოლო სხვა ადგილას ამბობს: „უკეთუ მე სულითა ღმრთისაითა განვასხამ ეშმაკთა, მო-სამე-იწია თქუენ ზედა სასუფეევლი ღმრთისაი“ (მთ. 12,28). ასევე ამბობს: „ყოველი, რაოდენი მესმა მამისა ჩემისაგან, გაუწყე თქუენ“ (იო. 15,15). შემდეგ კი ამბობს: „ხოლო ოდეს მოვიდეს სული იგი ჭეშმარიტებისაი, გიძღვის თქუენ ჭეშმარიტებასა ყოველსა, რამეთუ არა იტყოდის თავით თვისით, არამედ რაოდენი-რაი ესმეს, იტყოდის და მომავალი იგი გითხრას თქუენ“ (იო. 16,13).

3) სულიწმიდას გააჩნია ღვთაებრივი თვისებები:

1) ყოვლისმცოდნეობა:

¹ „სულიწმიდას ეწოდება ქრისტეს სული, რამეთუ მასთან შეერთებულია ბუნებით“ – Васил. вел. о св. Духе. гл. 18, въ Твор. св. Отц. VII, стр. 301.

მაცხოვარი ამბობს: „სულიწმიდაი ... მან გასწაოს თქუენ ყოველი და მოგახსენოს თქუენ ყოველი, რაოდანი გარქუ თქუენ“ (იო. 14,26). [იხ. ლპ. 12,11-12]

პავლე მოციქული ამოწმებს: ხოლო ჩუენ ღმერთმან გამოგიცხადა სულისა მიერ თვისისა; რამეთუ სული ყოველსავე გამოეძიებს, და სიღრმესაცა ღმრთისასა. რამეთუ ვინ-მე უკუე იცის კაცმან კაცისაი, გარნა სულმანვე კაცისამან, რომელი არს მის თანა? ეგრეცა ღმრთისაი არავინ იცის, გარნა სულმანვე ღმრთისამან. ხოლო ჩუენ სული არა ამის სოფლისაი მიგვიღებიეს, არამედ სული იგი რომელ არს ღმრთისაგან, რაითა ვიცოდით ღმრთისა მიერ მონიჭებული იგი ჩუენდა; რომელსაცა-ესე ვიტყვით არა სწავლულებითა კაცობრივისა სიბრძნისა სიტყუათითა, არამედ სწავლითა სულისა წმიდისაითა სულიერთა სულიერად შევატყუებთ“ (1-კორ. 2,10-13).

პეტრე მოციქული ამბობს: „რამეთუ არა ნებითა კაცთაითა მოსადამე მოიწია წინასწარმეტყუელებაი, არამედ წუევითა სულისა წმიდისაითა იტყოდეს წმიდანი ღმრთისა კაცნი“ (2-პეტრ. 1,21). და კიდევ:

„კაცნო ძმანო, ჯერ-იყო აღსრულებად წერილი, რომელი-იგი წინაისწარ თქუა სულმან წმიდამან პირითა დავითისითა იუდაისთვის, რომელი ექმნა წინამძღვარ შემპყრობელთა მათ იესუისათა“ (საქმე 1,16).

ლუკა მახარებელი გვაუწყებს: „და აპა იყო კაცი იერუსალემს, რომლისა სახელი სვიმეონ. და კაცი ესე მართალი იყო და მოშიში უფლისაი ... და სული წმიდა იყო მის ზედა. და იყო მისა უწყებულ სულისაგან წმიდისა არა ხილვად სიკუდილი ვიდრემდე იხილოს ცხებული უფლისაი და მოვიდა სულითა წმიდითა ტაძრად უფლისა ... და თქუა: აწ განუტევე მონაი შენი, მეუფეო, სიტყვისაებრ შენისა მშვიდობით“ (ლპ. 2,25-29).

2) ყველგანმყოფობა:

სულიწმიდის ამ თვისების შესახებ ცხადად არის ნაუწყები:

ა) იქ, სადაც საუბარია ქრისტიანებში, მორწმუნე ერში სულიწმიდის დამკვიდრებაზე, სულიწმიდის ქვეყნად მოფენაზე.¹ მაგ:

„და აღსრულებასა მას დღისა მეერგასისასა, იყვნეს ყოველნი ერთბამად ურთიერთსა, და იყო მეყსეულად ზეცით ოხრაი, ვითარცა მოწევნაი ქარისა სასტიკისა, და აღავსო ყოველი იგი სახლი, სადა-იგი იყვნეს მსხდომარე. და ეჩუენნეს მათ განყოფანი ენათანი ვითარცა ცეცხლისანი, და დადგრა თითოეულად კაცად-კაცადსა მათსა ზედა. და აღივსნეს ყოველნი სულითა წმიდითა და იწყეს სიტყუად უცხო ენათა, ვითარცა სული იგი მოსცემდა მათ სიტყუად“ (საქმე 2,1-4).

ბ) იქ, სადაც საუბარია მის მიერ ყოველივეს აღვსებაზე.²

3) ყოვილსშემძლელობა:

სულიწმიდის ეს თვისება გაცხადებულია მორწმუნეთათვის სულიწმიდის მიერ სხვადასხვა ნიჭების მინიჭებისას, სასწაულთმოქმედებისას. მაგ: „ხოლო თვითოეულსა ჩუენსა მიცემულ არს გამოცხადებაი იგი სულისაი უმჯობესისათვის. რომელსამე სულისა მისგან მიცემულ არს სიტყუაი სიბრძნისაი, ხოლო სხუასა სიტყუაი მეცნიერებისაი მითვე სულითა, და სხუასა სარწმუნოებაი მისივე სულისაგან, რომელსამე მაღლი კურნებათაი მისგანვე სულისა, რომელსამე შეწევნანი ძალთანი, რომელსამე წინასწარმეტყუელებაი, რომელსამე განკითხვაი სულთაი, და სხუასა თესლად-თესლადი ენათაი, და სხუასა თარგმანებაი ენათაი. ხოლო ამას ყოველსა შეეწევის ერთი და იგივე სული, განუყოფს თვითოეულად კაცად-კაცადსა, ვითარცა ჰნებავს“ (1-კორ. 12,7-11).

4) სიდიადე:

სულიწმიდის ამ თვისების შესახებ ვიტყობთ მაცხოვრის სიტყვებიდან: „ყოველი ცოდვაი და გმობაი მიეტეოს კაცთა, ხოლო სულისა წმიდისა გმობაი არა მიეტეოს კაცთა. და რომელმან თქუას სიტყუაი ძისა კაცისათვის, მიეტეოს მას; ხოლო რომელმან თქუას სულისა წმიდისათვის, არა მიეტეოს მას არცა ამას სოფელსა, არცა მერმესა მას“ (მთ. 12,31-32).

¹ რომ.: 8, 9-27; ეფე: 2, 22; 1-კორ: 3, 16; 6, 19; 12; 11-13.

² საქ. მოც.: 4, 31. იხ. შედარება მე. აღთქმაში: სიბრძ. ხოლ. 7, 23; 1, 7;

4) სულიწმიდა ღმრთაებრივად მოქმედებს

ა) სულიწმიდა ნათლავს, ხელახლა შობს, განბანს და განაახლებს ადამიანებს:

მაცხოვარი ნიკოდიმოსთან საუბრისას ამბობს: „ჭეშმარიტად, ჭეშმარიტად გეუბნები შენ: „უპეთუ ვინმე არა იშვეს მეორედ, ვერ ხელ-ეწიფების ხილვად სასუფეველი ცათაი“ ე. ი. „უპეთუ ვინმე არა იშვეს წყლისაგან და სულისა, ვერ ხელ-ეწიფების შესვლად სასუფეველსა ღმრთისასა“ (იო. 3,5) [იხ. შედარება 1-კორ. 12,13; საქმე 1,5] და ნათლობის მაგალითს თავად გვიჩვენებს [მთ. 4,16; მარკ. 1,10; ლკ. 3,22; იო. 1,30-33]

მოციქულთა საქმეებიდან ვიგებთ, რომ ნათლობისას ადამიანებს ენიჭებათ სულიწმიდის ნიჭები [საქმე 2,38] და განახლდებიან მის მიერ [ტიტ. 3,5].

ბ) სულიწმიდა ისევე როგორც მამა და ძე, ადამიანებს ანიჭებს საღმრთო მადლს, მოუწოდებს, ამკიდრებს და მართავს ქრისტეს ეკლესიას: მაგალითად:

„ეკრძალებით უკუე თავთა თქუებით და ყოველსაგე სამწყსოსა, რომელსა-ეგე თქუენ სულმან წმიდამან დაგადგინნა მოღუაწედ და მწყსად ეკლესიასა უფლისა ღმრთისასა, რომელი მოიგო სისხლითა თვისითა“ (საქმე 20,28).

„და ვიდრე-იგი ჰმსახურებდეს უფალსა და იმარხვიდეს, ჰრქუა, მათ სულმან წმიდამან: გამომირჩიენით მე ბარნაბა და სავლე საქმესა, რომელსა მე უწოდი მათ“ (საქმე 13,2,4)

„რამეთუ ჯერ-უჩნდა სულსა წმიდასა და ჩუენცა, რაითა არარაი უმეტესი ტვირთი დავდგათ თქუენ ზედა, გარნა რომელნი-ესე სასწრაფო არიან“ (საქმე 15,28).

„და მოვლეს ფრიგია და გალატელთა სოფელი და დაყენებულ იქმნეს სულისა მიერ წმიდისა სიტყუად სიტყვისა მის ასიას შინა. მო-რაი-ვიდეს იგინი მისუნდ, აზმნობდეს წარსლვად ბითვინიად, და არა უტევა მათ სულმან უფლისამან“ (საქმე 16,6-7).

„გარნა სული წმიდაი ქალაქად-ქალაქად მიწამებს მე და მეტყვის, რამეთუ კრულებანი და ჭირნი მელიან მე“ (საქმე 20,23).

გ) სულიწმიდა განამართლებს და განწმედს ადამიანებს:

„პეტრე მოციქული იესუ ქრისტესი, რჩეულთა მწირთა, განთესულთა პონტოსა და გალატიისა, კაბადუკიისა, ასიისა და ბითვინიისათა, წინასწარ ცნობითა ღმრთისა მამისათა და სიწმიდითა სულისათა დასამორჩილებლად და საპკურებლად სისხლისა იესუ ქრისტესისა ...“ (1-პეტრ. 1,1-2) რამეთუ, „არცა მპარავთა, არცა მემთვრალეთა, არცა მაგინებელთა, არცა მტაცებელთა სასუფეველი ღმრთისაი ვერ დაიმკვიდრონ. და ესრეთ ოდესმე იყვენით, არამედ განიბანენით, არამედ განიწმიდენით, არამედ განპმართლდით სახელითა უფლისა იესუისითა და სულითა ღმრთისა ჩუენისაითა“ (1-კორ. 6,10-11).

დ) სულიწმიდა ადამიანებს ღვთის შვილებად ქმნის:

„რამეთუ რომელნი სულითა ღმრთისაითა ვლენან, ესენი არიან ძენი ღმრთისანი. რამეთუ არა მიგიღებიეს სული იგი მონებისაი, რაითამცა კუალად გეშინოდა, არამედ მიგიღებიეს სული იგი შვილობისაი, რომლითა ვლადადებთ: აბბა, მამაო! იგივე სული ეწამების სულსა ამას ჩუენსა, რამეთუ ვართ შვილნი ღმრთისანი“ (რომ. 8,14-16).

ე) სულიწმიდა ადამიანებს ეხმარება უძლურებაში და შეეწვა ყოველ კეთილ საქმეში:

„ეგრეთვე და სულიცა იგი თანა-შეეწევის უძლურებათა ჩუენთა, რამეთუ რაიმცა იგი ვილოცეთ, ვითარ-იგი ჯერ-არს, არა ვიციო; არამედ თვით იგი სული მეოხ არს ჩვენთუის სულ-თქუმითა მით უსიტყუელითა.“ (რომ. 8,26).

ვ) სულიწმიდა ადამიანებს ანიჭებს ნიჭებსა და მადლს:

„ხოლო განყოფანი მადლთანი არიან, და იგივე სული არს. და განყოფანი მსახურებათანი არიან, და იგივე თავადი უფალი არს. და განყოფანი შეწევნათანი არიან, და იგივე თავადი ღმერთი არს, რომელი შეიქმნეს ყოველსა ყოველთა შორის.“ (1-კორ. 12,4-6; 8-11; 28-31; იხ. გალ. 5,22-23)

ზ) სულიწმიდა ისევე როგორც მამა და ძე ახდენს სასწაულებს:

მაგალითად, ბასილი დიდი მიუთითებს პავლე მოციქულის მიერ კორინთელთა მიმართ გაგზავნილ ეპისტოლებზე, საიდანაც ჩანს, რომ სულიწმიდა დვთაებრივი ძალაუფლებით ადამიანებს უნაწილებს სხვადასხვა ნიჭებს და მათ შორის სასწაულთმოქმედების ნიჭსაც. (1-კორ. 12,8-11).

მათე და ლუკა მახარებლები მოწმობებ (მათე 12,28 და ლუკა 11,20), რომ მაცხოვარი ღვთის სულიო, სულიწმიდით სდევნიდა ეშმაკებს.

სულიწმიდამ შეამზადა ყოვლადწმიდა ღვთისმშობელი ძე ღვთისას განკაცებისათვის (ლუკა 1,35).

ე) სულიწმიდა მამასა და ძესთან თანათაყვანისიცემება:

სულიწმიდა ღვთაებრივად თაყვანისიცემება: რამეთუ – ა) ჩვენ ყოველნი ვალდებული ვართ მოვინათლოთ მამის, ძისა და სულიწმიდის სახელით (მათე 28,19) და ვალიაროთ და ვადიდოთ როგორც მამა და ძე, ისე სულიწმიდა.¹ ბ) ჩვენ ყველანი შევადგენთ სულიწმიდის ტაძარს, რომელიც დამკვიდრებულია ყოველ ჩვენთაგანში,² და ვალდებული ვართ ვემსახუროთ მას,³ როგორც ტაძრის მეუფესა და როგორც ღმერთს.⁴

ამ ჭეშმარიტების განხილვისას ასევე საყურადღებოა ორი შენიშვნა: ა) წმ. წერილში სულიწმიდა არსად არ არის წარმოდგენილი როგორც ქმნილება. პავლე მოციქული როდესაც ჩამოთვლის ძე ღვთისას მიერ შექმნილთ, სიტყვებით: „მისით შეიქმნა ყოველი, რაც ცაშია და დედამიწაზეა, ხილული და უხილავი; საყდარნი თუ უფლებანი, მთავრობანი თუ ხელმწიფებანი.“⁵ სულიწმიდაზე ერთი სიტყვაც არ არის ნახსენები. პეტრე მოციქული ამოწმებს,⁶ რომ როცა უფალი იესო ქრისტე ამაღლდა ზეცად და დაჯდა მარჯვენით მამისა, მაშინ მას როგორც ღმერთკაცს⁷ დაემორჩილნენ ანგელოზები, უფლებანი, ხელმწიფებანი, ძალი, ხოლო სულიწმიდაზე პატარა მინიშნებაც კი არ არის წარმოდგენილი.

ბ) სულიწმიდა წარმოდგენილია იესო ქრისტესთან ისეთივე დამოკიდებულებაში, ურთიერთობაში, ჩვენი გამოხსნის საქმეში, როგორ ურთიერთობაშიცაა მამა ღმერთი: „მამამ განწმიდა და მოავლინა წუთისოფელში“⁸ და სულიწმიდაზეც ამბობს მხსნელი: „უფლის სულია ჩემზე, ვინაიდან მან მცხო გლახაკთა სახარებლად, მომავლინა გულშემუსრვილთა განსაკურნებლად...“⁹ ასევე შენიშვნას პეტრე მოციქული: „როგორ სცხო ღმერთმა სულიწმიდით იესო ნაზარეველს.“¹⁰

მამა თანამოქმედებდა¹¹ ძის განკაცებისას და სულიწმიდაც გარდამოვიდა ყოვლადწმიდა ღვთისმშობელზე.¹²

არქიმანდრიტი მაკარი სვამის კითხვას:¹³ „განა შეიძლება ყველა ზემოაღნიშნული ქმედება სულიწმიდისა წარმოდგენილი იყოს იესო ქრისტესთან – ღმერთკაცთან მიმართებაში მამის თანასწორად, თუ იგი არ იქნებოდა ღვთის ერთ-ერთი პირი?“ „სულიწმიდის ღვთაებრიობა საგსებით არის გაცხადებული წმ. წერილში, ამბობს წმ.

¹ 1-ტიმ: 6, 16; 1-ტიმ: 1, 17; 2 პეტრ: 3, 18; იუდა: 1, 25; რომ: 11, 33-36.

² 1-კორ: 6, 19; 2-ტიმ: 1, 14. 1-კორ: 3, 16-17.

³ 2-კორ: 3, 7-8.

⁴ 1-კორ: 6, 20.

⁵ კოდ: 1, 16.

⁶ 1-პეტ: 3, 22.

⁷ ix. „Правосл. Догматич. Богословіє“ Архим. Макарія, томъ I, стр. 317.

⁸ იო: 10, 36.

⁹ ლო: 4, 18.

¹⁰ საქ. მოც: 10, 38.

¹¹ იო. „Правосл. Догматич. Богословіє“ Архим. Макарія, томъ I, стр. 318.

¹² ლო: 1, 35.

¹³ იო. „Правосл. Догматич. Богословіє“ Архим. Макарія, томъ I, стр. 318.

გრიგოლ ღვთისმეტყველი:¹ უურადღება მიაქციეთ შემდეგზე: – იშვება ქრისტე – ესწრება ესწრება სულიწმიდა;² ინათლება ქრისტე – სულიწმიდა ემოწმება;³ გამოიცდება ქრისტე ქრისტე – სულიწმიდა თანაუძღვის მას;⁴ ქრისტე ღვთაებრივად მოქმედებს – სულიწმიდა სულიწმიდა თან ახლავს;⁵ ქრისტეს ამაღლებისას – სულიწმიდა ენაცვლება მას.”⁶

სულიწმიდა – ღმერთის პიპოსტასური თვისება:

ა) სულიწმიდის გამომავლობის საკითხის განხილვა წმ. წერილის საფუძველზე:

სანამ დავიწყებეთ ეკლესიის მიერ სულიწმიდის პიპოსტასური თვისების, კერძოდ სულიწმიდის მამისაგან გამომავლობის შესახებ სწავლების განხილვას წმ. წერილის საფუძველზე, წინასწარ უნდა აღინიშნოს, რომ – ა) ეს სწავლება წარმოადგენს ჩვენი მართლმადიდებლური ეკლესიის უმთავრეს დოგმატს,⁷ განსხვავებით კათოლიკური და პროტესტანტული დაჯგუფებისაგან, რომელთაც სწამთ და ასწავლიან, რომ თითქოსდა სულიწმიდა გამოდის არა მარტო მამისაგან, არამედ მისაგანაც.⁸ ამიტომ ეს საკითხი ჩვენს განსაკუთრებულ უურადღებას იმსახურებს.

ბ) ამ სწავლების მკაფიო და ნათელი გაგებისათვის, აუცილებლად უნდა გავარჩიოთ სულიწმიდის მარადიული გამომავლობა, რომელიც წარმოადგენს მის პიპოსტასურ თვისებას, სულიწმიდის დროებითი გამომავლობისაგან, ანუ გარდამოსვლისაგან ქმნილებებზე, ან სამყაროში სულიწმიდის მოფენისაგან, რომელიც არ მიეკუთვნება სულიწმიდის შინაგან თვისებას,⁹ არამედ არის რადაც გარეგანი, დროში გამოვლენილი, წარმავლი და ახასიათებს ძესაც.¹⁰

არქიმანდრიტი მაკარი წერს:¹¹ „როცა მართლმადიდებლური ეკლესია ამტკიცებს, რომ რომ სულიწმიდა გამოდის მხოლოდ მამა ღმერთისაგან, დასავლელი ქრისტიანების სწავლების წინააღმდეგ, თითქოსდა სულიწმიდა გამოდის ძე ღმერთისაგანაც; მაშინ ეკლესია იაზრებს სულიწმიდის მხოლოდ მარადიულ და პიპოსტასურ გამომავლობას. ხოლო რაც შეეხება სულიწმიდის დროებით გამომავლობას, ანუ გარდამოსვლას ქმნილებებზე, მოფენას სამყაროზე, მაშინ მართლმადიდებელნი და დასავლელი ქრისტიანები ერთნაირად იაზრებენ და სწამთ, რომ სულიწმიდა გამოდის, ან უფრო ზუსტად მოევლინება სამყაროს მამისაგან ძის მეშვეობით.“¹²

გ) იმისათვის, რომ დავიცვათ სრული მიუკერძოებლობა ამ საკითხის გადაწყვეტისას, რომელიც წარმოადგენს აღმოსავლელი და დასავლელი ქრისტიანების საუკუნეობრივი კამათის საგანს, ჩვენ შევაცდებით მტკიცების მაგალითები მოვიყვანოთ, მოკლე სახით არა მარტო მართლმადიდებელთა სწავლებით სულიწმიდის პიპოსტასურ თვისებაზე, არამედ ასევე არამართლმადიდებელთა მიერ წარმოდგენილი მაგალითებიც. მათი პირისპირ შედარებით და თავად იხილეთ და გადაწყვიტეთ თუ ვის მხარეზეა ჭეშმარიტება.¹³

სულიწმიდის გამომავლობის საკითხის განხილვა წმ. წერილის საფუძველზე:

ა) წმ. წერილში არის თუ არა პირდაპირი მოწმობა, რომ სულიწმიდა გამოდის მამისაგან?

¹ Слов. 31, Вѣ Твор, св. Отц. III, стр. 128.

² ლკ. 1, 35.

³ იო: 1, 33-34.

⁴ მთ: 4, 1.

⁵ მთ: 12, 28

⁶ იო: 16, 7-8.

⁷ 381 წ-ის კონსტანტინოპოლის II მსოფ. საექლ. კრებაზე მიღებული მოწამების VIII წევრი.

⁸ იხ: “Догмат. Богословие” Протопресв. Михаиль Помазанский 1992г, стр. 62.

⁹ იხ: “Правосл. Догмат. Богосл.” Архим. Макарія, Томъ I, стр. 345.

¹⁰ იო.: 16, 28-29.

¹¹ იხ: “Правосл. Догмат. Богосл.” Архим. Макарія, Томъ I, стр. 345.

¹² იო: 15, 26.

¹³ იხ: “Правосл. Догмат. Богосл.” Архим. Макарія, Томъ I, стр. 346.

არის. იგი დამოწმებულია მაცხოვრის მიერ, მოციქულთა მიმართ წარმოთქმულ სიტყვებში: „როცა მოვა ნუგეშინისმცემელი, რომელსაც მე მოგივლენო მამისაგან, – ჰეშმარიტების სული, რომელიც მამისაგან გამოდის,¹ ის დაამოწმებს ჩემს შესახებ.“²

შეიძლება დაისვას კითხვა: გამოთქმა „რომელი მამისაგან გამოვალს“ აღნიშნავს კი სულიწმიდის მარადიულ გამომავლობას, თუ იგი სამყაროში მის დროებით მოვლინებას გულისხმობს?

დიახ, ზემო აღნიშნულ მუხლში აღნიშნული გამოთქმა მიუთითებს სულიწმიდის მამისაგან მარადიულ გამომავლობაზე, რამეთუ – 1) ამ სიტყვების არსი, მიზანი შემდეგ ში მდგომარეობს: მთელი საუბარი მაცხოვრისა³ მიმართული იყო თავისი მოციქულებისადმი იქითკენ, რომ ნუგეში-ეცა მათვის მოახლოვებული მისი განშორების წინ. ამისთვის იგი მოწაფეებს აღუთქვამს გარდამოუვლინოს მათ, თავის მაგივრად სულიწმიდა და პირველად აღთქმულს უწოდებს: „სხვა ნუგეშინისმცემელს, რომელიც მათთან იქნება საუკუნოდ,⁴ შემდეგ: „ჭეშმარიტების სულს, რომელიც ასწავლის მათ ყოველივეს და გაახსენებს მათ ყოველივეს, რაც კი მათვის უთქვამს დათაებრივ ნუგეშინისმცემელს, მხსნელს.⁵ და შემდეგ აერთიანებს აზრს და ამბობს, რომ ეს მომავალი ნუგეშინისმცემელი, ეს ჭეშმარიტების სული, რაღაც ქმნილება კი არ არის, არამედ მამისაგან გამოდის, ე. ი. აქვს მარადიული მყოფობა მამისაგან და არის დათაებრივი პირი.⁶ რაიმეს მიმატება მიზნისათვის აქ სრულიად ზედმეტია. ამის გარეშე მოციქულთა ნუგეშინისცემა არ იქნებოდა სრულყოფილი, მაგრამ ახლა მხოლოდ მათ შეეძლოთ დარწმუნებულიყვნენ, რომ მომავალი მათი მოძღვარი, დამრიგებელი, იყო დათაებრივი პირი, რომელსაც ჭეშმარიტად შეეძლო შეეცვალა მათვის ის, ვისთანაც მათ მოუწევდათ განშორება, რომელსაც ისინი აღიარებდნენ ჭეშმარიტ დათის ძედ, გამოსულს მამისაგან.⁷

მითურებებს – აუცილებელია აღინიშნოს, რომ მხესხელი მწირად ესაუბრებოდა მოციქულებს სულიწმიდაზე. მაგრამ არც ერთხელ აქამდე არ აუხსნია მათვის, თუ ვინ იყო სულიწმიდა და როგორი იყო მისი პიროვნული თვისება და დირსება.

2) თუკი დავუშვებთ, რომ გამოთქმა: – „რომელი მამისაგან გამოვალს“ – აღნიშნავს არა მარადიულ გამომავლობას სულიშმიდისა, არამედ მხოლოდ დროებით მის მოვლინებას სამყაროში, მაშინ, ასეთ შემთხვევაში უპირველეს ყოვლისა, უნდა დავუშვათ მაცხოვრის სიტყვებში უცნაური გამეორებები: და ტექსტი ასე წავიკითხოთ: „როცა მოვა ნუგეშინისმცემელი, რომელსაც მე მოგივლენო მამისაგან, სულ ჭეშმარიტებისა, რომელიც მამისაგან მოევლინება, ის დაამოწმებს ჩემს შესახებ.“

ხოლო მეორედ გაუგებარია თუ რატომ თქვა მაცხოვარმა: „გამოვალს“ აწმეო დროში, და არ თქვა „გამოვა“, როცა საუბარია მომავალში სულიწმიდის მოვლინებაზე. არადა, მაცხოვარი არაერთხელ აღნიშნავდა მომავალ დროში სულიწმიდის მოვლინებაზე იმოწმებდა რა მამას: „ის სხვა ნუგაშინისმცემელს მოგივლენთ,“⁸ ან „რომელსაც მოავლინებს ჩემი სახელით მამა,“⁹ და ამბობდა თავის თავზე: „რომელსაც მე მოგივლენთ მამისაგან,“¹⁰

მაცხოვრის სიტყვა სულიშმიდაზე – „გამოვალს,“ ზუსტად აწყო დროში უნდა იყოს ნახსენები, რათა აღინიშნოს მარადუილობა, იმის მსგავსად, როგორც თვით მაცხოვარმა

¹ το πνευμα της αληθειας, ο παρα τον πατρος εκπορευεται.

² oœ: 15, 26.

³ om: 14, 16.

⁴ om: 14, 16

5 om: 14, 26

6 om: 15, 26

⁷ *ðm:* 16, 16; *om:* 16, 30.

⁸ *om:* 14, 16.

⁹ om: 14, 26.

10 om: 15, 26

აღნიშნა თავისი მარადიული მყოფობა აწმეო დროში სიტყვებით: „სანამ აპრაამი იქნებოდა, მე ვარ“¹

3) ქრისტეს გალესია² ერთიანი ხმით, უძველესი დროიდან მაცხოვრის სიტყვებში „რომელი მამისაგან გამოვალს“ – იაზრებდა სულიწმიდის მარადიულ გამომავლობას მამისაგან. საკმარისია აქ გავიხსენოთ, რომ ზუსტად ასე ესმოდათ ეს სიტყვები არა მარტო ცნობილ გალესის მამებს – ბასილი დიდს,³ გრიგოლ დვითისმეტყველს,⁴ იოანე თქონპირს⁵ და სხვებს, არამედ მთელ მსოფლიო ეკლესიას, რომელმაც მიიღო სიმბოლო სარწმუნოებისა – „მრწამსი“ და ერთხმად აღიარა: „და სულიწმიდა უფალი და ცხოველსმყოფელი, რომელი მამისაგან გამოვალს, მამისა თანა და ძისა თანა თაყვანისიცემების და იდიდების...“⁶

ბ) წმ. წერილში არის თუ არა მოწმობა, ან მინიშნება მაინც, რომ სულიწმიდა გამოდის ძისაგანაც?

არა, არცერთი. მაგრამ არიან ადამიანები, რომლებიც ცდილობენ წმ. წერილის ზოგიერთი ადგილის მოშველიებით და თავისებური განმარტებით დაამტკიცონ, რომ თითქოსდა სულიწმიდა ძისაგანაც გამოდის.

1) ამბობენ, რომ სიტყვები: „რომელი მამისაგან გამოვალს“ – სრულებითაც არ გამორიცხავენ სულიწმიდის ძისაგანაც გამომავლობას. პირიქით, ისინი საბოლოოდ იმკვიდრებენ აზრს: იმიტომ რომ მამა და ძე არსობით ერთია და რაც გააჩნია მამას გააჩნია ძესაც.

შეიძლება კი ამ შემთხვევაში ასეთი ნააზრევის მიღება? გადაჭრით შეიძლება ითქვას, რომ არა: ა) რამეთუ მამისა და ძის თანასწორია სულიწმიდა და ისინი ერთი არიან ბუნებითა და არსით. მაგრამ განსხვავდებიან ერთმანეთისაგან როგორც პირები, და რაც გააჩნია მამას, გააჩნია ძესაც და გააჩნია სულიწმიდასაც. ხოლო როცა საუბარია: მამისაგან ძის შობაზე, ან მამისაგან სულიწმიდის გამომავლობაზე, მაშინ მამა გაიაზრება, როგორც ცალკე პირი თავისი პირადი თვისებით, როგორც მიზეზი ძისა და სულიწმიდისა, ე. ი. როგორც ძისა და სულიწმიდისაგან განსხვავებული. და როცა საუბარია სულიწმიდაზე, როგორც მამისაგან გამომავალზე არ შეიძლება მამაში იგულისხმებოდეს ძეც, რომელიც ერთია არსით მამისა და არა პიპოსტასურად.⁷

ბ) თუ დავუშვებთ აზრს, რომ სიტყვებში „რომელი მამისაგან გამოვალს“ იგულისხმება სულიწმიდის ძისაგანაც გამომავლობა და ვიტყვით: იმიტომ, რომ ძე მამის თანაარსია; მაშინ უნდა დავუშვათ და ვთქვათ, რომ სიტყვებში „იშვება მამისაგან“ – იგულისხმება ძის შობა სულიწმიდისაგან, რამეთუ სულიწმიდაც თანაარსია მამისა. ამის გარდა უნდა ვიფიქროთ და დაგუშვათ, რომ ძე იშვება მამისაგან და თავისთავიდანაც და სულიწმიდა გამოდის მამისაგან და გამოდის თავისი თავიდანაც, იმიტომ რომ ისინი ერთნი არიან მამისა არსებით და თანამარადიული.⁸

ბოლოს გ) თუკი განვიხილავთ სიტყვათა შემადგენლობას: „რომელი მამისაგან გამოვალს,“ მაშინ უფრო დავრწმუნდებით განსახილველი ნააზრევის უსაფუძვლობაში. თავისი მოწაფეების ნუგეშინისცემისას, სანამ ამაღლდებოდა ზეცად მაცხოვარი აღუთქამს თავის მაგივრად სულიწმიდის გარდამოსვლას და ამ მოვლინებას მიაწერს როგორც მამას ისე თავის თავს: „რომელსაც მე მოგივლენთ.“⁹ და მხოლოდ ამის შემდეგ იწყებს საუბარს სულიწმიდის გამომავლობაზე, მიუთითებს რა მხოლოდ მამაზე, ხოლო თავის თავზე არც კი მიანიშნებს. შენიშნავს მარკოზ ეფესელი:¹⁰ „მოიხსნია რა

¹ ოო: 8, 58.

² იხ: „Правосл. Догмат. Богосл.“ Архим. Макарія, Томъ I, стр. 348.

³ Въ Твор. св. Отц. VIII, стр. 389.

⁴ Въ Твор. св. Отц. III, стр. 53-54. снес. слов. 31, стр. 109.

⁵ Homil. de Spiritu Sancto. Chrysost Opp. tom III, pag 797. Venet 1734.

⁶ 381 წ-ს კონსტანტინოპოლის II მსოფ. საეკლ. კრებაზე მიღებული „მრწამსის“ VIII წევრი.

⁷ Слов. 25, въ Твор. св. Отц. II, стр. 288.

⁸ იხ: „Правосл. Догмат. Богосл.“ Архим. Макарія, Томъ I, стр. 351.

⁹ ოო: 15, 26; შედარ: ოო: 14, 26.

¹⁰ Vid. Acta concil. Florent. sess. XXIII, in T. XIII concil. Labbei et T. IX concil. Harduini.

თავისი თავი მამასთან სულიწმიდის გარდამოსვლისას, უფალმა არ თქვა სულიწმიდის გამოსვლისას, „რომელიც ჩვენგან გამოდის.“

განა თვალნათლივ არ ჩანს, რომ ძემ განსაზღვრა თუ რა მიეკუთვნება მათ ორივეს სულიწმიდასთან ურთიერთობაში და რა მიეკუთვნება მხოლოდ მამას?

არქიმანდრიტი მაკარი ამბობს:¹ „ამტკიცო, ისე როგორც ამტკიცებენ, თითქოს სიტყვებში: „რომელი მამისაგან გამოვალს“ ქრისტე იაზრებდა მამაში თავის თავს როგორც ძე, სრულიად თვითნებურია და უსაფუძვლო; იმიტომ, რომ სულიწმიდის გარდამოსვლაზე საუბრისას მხსნელი არ შემოიფარგლა მსგავსი სიტყვის წყობით; პირიქით, ცალ-ცალკე თქვა მამაზე: „ის სხვა ნუგეშინისმცემელს მოგივლენთ“ და თავის თავზე: „მე მოგივლენთ.“

2) უურადრებას ამახვილებენ მაცხოვრის უკანასკნელ, წარმოთქმულ სიტყვაზე: „მე მოგივლენთ“,² და ასკვნიან:³ „თუ სულიწმიდა მოევლინება ძისაგან, მაშინ იგი მისგან გამოდის, რამეთუ, სხვაგვარად ძეს არ შეეძლებოდა მოევლინა სულიწმიდა.“

მაგრამ ეს ისევ ადამიანის გონებისეული ნააზრევია, რომლის მიღება არ შეიძლება. აზრს თითქოს ყოვლადწმიდა სამების საიდუმლოში ერთი პირის მიერ მეორის მოვლინებაში აუცილებლად წარმოდგენილია მოვლინებულის წარმომავლობა მომავლინებელისაგან, არ გააჩნია – ა) არანაირი საფუძველი წმ. წერილში, პირიქით საწინააღმდევებოცაა, რამეთუ, წმ. წერილში ნათქვამია, რომ ძე მოევლინება. სულიწმიდისაგან, და არა მხოლოდ მამისაგან.⁴ მიუხედავად ამისა, მარადიული შობა ძისა მიეკუთვნება მხოლოდ მამას და არა სულიწმიდას.⁵ ბ) ეწინააღმდევება ეკლესიის უძველეს გამოჩენილ დვთისმეტყველებს, რომლებიც განმარტავენ ამ გარდამოსვლას სრულიად სხვაგვარად, როცა ამბობენ, რომ: „ძე მოავლენს სულიწმიდას, და თვითონ მოევლინება მისგან, საკუთრივ მათი ერთარსობა და ერთმანეთის მიმართ ურთიერთობა და თანამონაწილეობა ქმედებებში, განიმარტება და აიხსნება ბუნებრივად! რამეთუ სამი დვთაებრივი პირია. თითოეულ პირს საკუთარი⁶ თვისების გარდა ყველაფერი საერთო გააჩნიათ: ერთი ბუნება, არსი, ნება და განუყოფელი ქმედება. ამიტომ, როცა მოქმედებს ერთი პირი, აუცილებლად თანამონაწილეობს ორი სხვაც, როცა ძე დვთისა მოევლინება წუთისოფლად კაცობრიობის ხენისათვის, ნათქვამია, რომ იგი მოევლინება მამისა და სულიწმიდისაგან (ლქ:4,18 იო:17,21). შემდეგ, როცა მოევლინება სულიწმიდა ადამიანების კურთხევისა და განახლებისათვის, მამისა და ძის მონაწილეობა გამოხატულია იმით, რომ ისინი წარმოადგენენ მის მომავლინებელს. გ) „საერთოდ, უნდა გვახსოვდეს, რომ ძისა და სულიწმიდის წუთისოფლად დროებითი მოვლინება, მიეკუთვნება დვთის გარეგნულ მოქმედებას და ყოველი გარეგნული მოქმედება საერთოა ერთარსი და განუყოფელი სამებისა“ – წერს არქიმანდრიტი მაკარი.⁷ ამიტომაც, ეკლესიის ზოგიერთი ზოგიერთი ძველი განმანათლებელი გამოთქმადა აზრს: – „ძე მოვლინებული წუთისოფლად მამისაგან და სულიწმიდისაგან, მოვლინებული იყო თავისი თავისაგანაც, ასევე სულიწმიდა, იგზავნება რა მამისაგან და ძისაგან, იგზავნება თავისი თავისაგანაც.“⁸ დ) არქიმანდრიტი მაკარი ასევე წერს:⁹ „შეიძლება მივუთითოთ განსაკუთრებული მიზეზი, თუ რატომ იგზავნება ძისაგან სამყაროში სულიწმიდა. იგი მდგომარეობს იმაში, რომ ძემ, როგორც გამომხსნელმა კაცობრიობისა, როგორც ღმერთკაცმა, მიიღოთ თავისი დამსახურებით მარადიული გამართლება და ფასდაუდებელი დირსება გარდამოევლინა ადამიანებისათვის დვთაებრივი ნიჭები სულიწმიდისა, ცოდვილთა განწმენდისა და განახლებისათვის. ამიტომ, სულიწმიდის

¹ იხ: „Правосл. Догмат. Богосл.“ Архим. Макарія, Томъ I, стр. 351.

² იო: 15, 26.

³ იხ: Perrone, Op. citat p. 422, ასევე „დასავ. დვთისმეტყველთა ტრაქტაზი სულიწმიდაზე.“

⁴ ლქ: 4, 18.

⁵ იხ: Зерников въ озн. сочин. тракт. VIII, отв. 7. стр. 505-513; 514-517; 517-524.

⁶ e. i. hipostasuri.

⁷ იხ: „Правосл. Догмат. Богосл.“ Архим. Макарія, Томъ I, стр. 355.

⁸ იხ: Зерников, стр. 489-494.

⁹ იხ: „Правосл. Догмат. Богосл.“ Архим. Макарія, Томъ I, стр. 355.

ამქვეყნად მოვილნება დაკავშირებულია იქსო ქრისტეს განდიდებასთან. მაგ.: „ეს მან იმ სულზე თქვა, მის მორწმუნებებს, რომ უნდა მიედოთ, რადგან ჯერ არ იყო სული, რაკი იქსო ჯერ განდიდებული არ იყო.“¹ სულიწმიდა სამყაროს მოევლინა მაშინ, როცა მაცხოვარმა აღასრულა გამოხსნის უდიდესი საიდუმლო.

ე) მიუთითებენ მოციქულებთან მაცხოვრის საუბრისას წარმოთქმულ სიტყვებზე: „ჩემგან მიიღებს“ და ამბობენ: „ჩემგან მიიღებს ე. ი. გამოდის.“ ასევე ყურადღებას ამავილებენ მეორე ადგილის სიტყვებზე: „ყველაფერი რაც მამას აქვს, ჩემია“ და ასე იაზრებენ: „თუ ყველაფერი რაც აქვს მამას, აქვს ძესაც, ასევე მამას გააჩნია თვისება – მისგან გამოდის სულიწმიდა, ე. ი. სულიწმიდა გამოდის – ძისაგანაც.“²

მაგრამ ასეთი განმარტება და ასეთი გააზრება: ა) სრულიად ეწინააღმდეგება სიტყვათა წყობას. მაცხოვრის მიერ წარმოთქმული სიტყვის არსი შემდეგია:³ „მე ჯერ კიდევ არ გამიცხადებია სრულად ჭეშმარიტება. იმიტომ, რომ ვეღარ იტვირთავთ და როცა მოვა სული ჭეშმარიტებისა, რომელიც მე თქვენ აღგითქვით, იგი გაუწყებო ჩემს მაგივრად და შეგიძლვებათ ყოველ ჭეშმარიტებაში. ის გააგრძელებს საქმეს ჩემს მაგივრად, ჩემს მსგავსად იგი: „თავისით კი არ ილაპარაკებს, არამედ იმას ილაპარაკებს, რასაც ისმენს:“⁴ ზუსტად იგივე სწავლებას, რომელიც გაუწყეო მქ: „ჩემგან მიიღებს და თქვენ გაუწყებთ“⁵ ისე როგორც ადრე გეუბნებოდით, რომ „ჩემი მოძღვრება ჩემი არაა, არამედ მისია, ვინც მე მომავლინა.“⁶ იმისათვის, რომ ჩემი სიტყვა: სიტყვა: „ყველაფერი რაც აქვს მამას, ჩემია.“⁷ თქვენთვის სწორად იქნას გაგებული, ამიტომ მე ვთქვი: „ჩემგან მიიღებს სულიწმიდა და გაუწყებო თქვენ.“⁸

სიტყვები: „ჩემგან მიიღებს“ და შემდეგ „ყველაფერი, რაც აქვს მამას – ჩემია“ მიეკუთვნება მხოლოდ სწავლებას,⁹ რომელიც ძემ, მოვლინებულმა ქვეყნად მამის ნების აღსასრულებლად, კაცობრიობის სახსნელად მიიღო მამისაგან, ხოლო სულიწმიდა ძის შემდეგ ქვეყნაზე მომავალი უდიდესი საქმის აღსასრულებლად იღებს ძისაგან და გამოთქმა: „ჩემგან მიიღებს და თქვენ გაუწყებთ“ – არ შეიძლება გავიგოთ ისე თითქოს: „ჩემგან ისესხებს, ან შეისწავლის სულიწმიდა, რაც მანამდე არ იცოდა და არ გააჩნდა,“¹⁰ რამეთუ სულიწმიდამ როგორც ღმერთმა საუკუნოდ ყველაფერი იცის და ყველაფერი გააჩნია. აქ კი იგულისხმება აზრი: „ის იქნება ჩემს შემდეგ ზუსტად იგივე ჩემივე სწავლების გამგრძელებელი და არა სხვა რომელიმესი, ის ყველაფერს გაგახსენებო, რაც თქვენთვის მითქვამს“¹¹ და „სრულგყოფთ თქვენ ჭეშმარიტების შემეცნებაში ჩემს მაგივრად, რომელიც მეც მაქვს თქვენთვის სათქმელი, მაგრამ ახლა ვეღარ იტვირთავთ.“¹²

რატომ? იმიტომ, რომ „სულიწმიდა და ქე ერთარსია მამისა, გააჩნია ერთი და იგივე სიბრძნე და ცოდნა, ერთი და იგივე განუყოფელი ქმდება“ – ასე განმარტავენ ეკლესიის უძველესი განმანათლებლები.¹³

თუკი ბ) ზოგიერთი მათგანი¹⁴ სიტყვებში: „ჩემგან მიიღებს“ ხედავდა აზრს სულიწმიდის მარადიულ გამომავლობაზე, მათ ესმოდათ არა ისე როგორც ეს უნდათ კათოლიკებს და პროტესტანტულ დაჯგუფებებს.

¹ ოთ: 7, 39.

² Perrone, Prael. Theolog. vol. II pag. 421, ed. Lovan.; Conf. Feier, Instit. Theolog. 1, p. 294, Wien 1819.

³ იხ: „Правосл. Догмат. Богосл.“ Архим. Макарія, Томъ I, стр. 356.

⁴ ოთ: 16, 13.

⁵ ოთ: 16, 15.

⁶ ოთ: 7, 16.

⁷ ოთ: 16, 15.

⁸ ოთ: 16, 15.

⁹ იხ: „Правосл. Догмат. Богосл.“ Архим. Макарія, Томъ I.

¹⁰ Didymus Alexandr. lib. II de Spir. S. in Opp. Hieronymi tom VI.

¹¹ ოთ: 14, 26.

¹² ოთ: 16, 12.

¹³ Ambros. de Spir. S. lib II, cap. 12; Златоуст, бесед. на Иоанн. 78, п 3. Кирил. Александрийск. о св. Троице разговор. VI.

¹⁴ იხ: „Правосл. Догмат. Богосл.“ Архим. Макарія, Томъ I, стр. 358.

„ქრისტემ თქვა: „ჩემგან მიიღებს,“ ე. ი. „ჩემი მამისაგან“ – წერს ათანასე დიდი,¹ – რამეთუ გააერთიანა სიტყვებით: „ყველაფერი, რაც მამას აქვს, ჩემია, ამიტომ გითხარით: „ჩემგან მიიღებს და თქვენ გაუწყებთ-მეთქი.“

უფრო ნათლად გამოოქვამს ნეტარი ავგუსტინე²: „ქრისტემ თქვა სულიწმიდაზე „ჩემგან მიიღებს“ თვითონვე წყვეტს საკითხს, რათა არ ვიფიქროთ, თითქოს სულიწმიდა ძისაგან არის, როგორც თვითონ მამისაგან, როცა ისინი მამისაგან არიან: ერთი იშვება, მეორე გამოდის. მაცხოვარმა გააერთიანა სიტყვები: „ყველაფერი რაც აქვს მამას, ჩემია. ამიტომ გითხარით ჩემგან მიიღებს“³ და ეჭვის გარეშე სურდა გაგვეგო, რომ სულიწმიდა სულიწმიდა მამისაგან გამოდის.“

ტექსტის ასეთ განმარტებას იღებდნენ დასავლეთში ცნობილნი: ალკუინი და ალბინი⁴ და სხვანი, როგორც დასავლეთში ისე აღმოსავლეთში:⁵

ახლა განვიხილოთ უფრო დაწვრილებით:⁶ „თუკი გამოთქმა „ჩემგან მიიღებს“ – აღნიშნავს: ჩემგან იღებს მარადიულ მყოფობას, ჩემგან გამოდის, მაშინ ისმება კითხვა: რატომ თქვა მხსნელმა „მიიღებს“ მომავალ დროში, ზუსტად ისე როგორც თქვა: „განმადიდებს“ ან „გაუწყებთ“? ე. ი. სულიწმიდა ჯერ კიდევ იმ დროისთვის არ გამოდიოდა ძისაგან, როცა მაცხოვარი მოციქულებს ესაუბრებოდა?

თუკი დავიწყებო მტკიცებას, რომ გამოთქმაში „მიიღებს“ იგულისხმება წარსული და აწმყო დრო, მაშინ უნდა ვამტკიცოთ, რომ გამოთქმებში „განმადიდებს“ და „გაუწყებთ“, რომლებიც პირდაპირ კავშირშია გამოთქმასთან „მიიღებს“ ნაგულისხმებია ასევე წარსული და აწმყო დრო. ეს კი უკვე იქნებოდა სიტყვის არსის სრული დამახინჯება.

თუკი დავუშვებო ყოველგვარი საფუძვლის გარეშე, რომ მხოლოდ გამოთქმა „მიიღებს“ აღნიშნავს აწმყო დროს, ხოლო დანარჩენი ორი – მომავალ დროს; მაშინ დავინახავთ წმ. წერილის ტექსტის დამახინჯების ახალ ვარიანტს და მხსნელის სიტყვები ასე უნდა გავიგოთ: „სულიწმიდა მე განმადიდებს, იმიტომ რომ ჩემგან გამოდის და თქვენ გაუწყებთ.“ მაშინ რადას ნიშნავს ის გაუწყებთ?...“

ასევე უაზრობამდე მივყავართ სხვაგვარად მოაზროვნეთა ნააზრევს, რომლებიც მხსნელის სიტყვებს პირდაპირი გაგებით, ყოველგვარი საზღვრის გარეშე იგებენ. ისინი ამბობენ:⁷ „ყველაფერი რაც აქვს მამას ჩემია“ ე. ი. როგორც მამას აქვს თვისება, სულიწმიდის გამოსვლისა მისგან, ასევე ძესაც.“ მაშინ ვუპასუხებთ: „მამას აქვს თვისება, იგი უშობელია; მაგრამ მე უშობელია? მამას აქვს თვისება, იგი შობს ძეს; მაგრამ მე განა შობს ძეს?“⁸

მეორე მხრივ ძემ უთხრა მამას: „ყველაფერი ჩემი შენია;“⁹ ძეს აქვს თვისება, იგი იშვება მამისაგან, ე. ი. აქედან უნდა დაგასკვნათ, რომ ასეთივე თვისება გააჩნია მამასაც? ძეს – მიეკუთვნება განკაცება, ე. ი. – მამასაც?

მოკლედ, ერთდაერთი საშუალება ყველა ამ ზემოაღნიშნული ნააზრევის უარსაყოფად მდგომარეობს იმაში, რომ მაცხოვრის სიტყვა „ყველაფერი რაც აქვს მამას, ჩემია“ უნდა მივიღოთ არა განუსაზღვრელად, არამედ განსაზღვრულად ძეს ჭეშმარიტად გააჩნია ის, რაც მამას არსებით და ლვთაებით, თანაბრად ისე, როგორც მამას გააჩნია ის, რაც ძეს საკუთარი ჰიპოსტასური თვისების გარდა. ზუსტად ასე ესმოდათ ეს გამონათქვამი ეკლესიის უძველეს გამოჩენილ მოძღვრებს:¹⁰ ისინი ამბობდნენ, რომ ამ გამოთქმით აღნიშნულია მამისა და ძის ბუნების ერთობა, აღნიშნულია მათი არსებითი თვისებები და საერთოდ ყველაფერი ის, რაც მათში საერთოა. მაგრამ არ აღინიშნება

¹ Athanas. contra Macedon. dialog. 1, n. 16: cum ambo de Patre; ille nascatur, iste procedat.

² Augustin. contra sermon. Arianorum cap. 23.

³ ოო: 16, 15.

⁴ იხ: „Правосл. Догмат. Богосл.“ Архим. Макарія, Томъ I, стр. 359.

⁵ Cirill, Alex, lib. VI, dialog. de Trinit. Part 1, in T. V.

⁶ იხ: „Правосл. Догмат. Богосл.“ Архим. Макарія, Томъ I, стр. 359-360.

⁷ იხ: „Правосл. Догмат. Богосл.“ Архим. Макарія, Томъ I, стр. 361.

⁸ „_____“ იქვე გვ. 361.

⁹ ოო: 17, 10.

¹⁰ Ambros. de sacram. incarn. Domin. cap. 8. Athanas, Epist. sd Serapion, II, n 5; conf. n. 2. Augustin in Ioann. Tractat, CVII.

მათი პიროვნული თვისებების განსაკუთრებულობა, ამიტომაც მსჯელობდნენ სხვაგვარად მოაზროვნენი, რომ „ყველაფერი, რაც აქვს მამას აქვს არა მარტო ძეს, არამედ სულიწმიდასაც.“¹

4) სულიწმიდის ძისაგან მარადიული გამომავლობის დასამტკიცებლად მათ² მოჰყავთ მოჰყავთ მაგალითი პავლე მოციქულის მიერ გალატელთა მიმართ გაგზავნილი ეპისტოლებან: „რაკიდა თქვენ შვილები ხართ, ღმერთმა მოავლინა თქვენს გულებში თავისი ძის სული, რომელიც შესძახის: „აბბა, მამაო.“³

ისინი⁴ მსჯელობები: „სულიწმიდას ეწოდება მამის სული⁵ ყოველგვარი ეჭვის გარეშე, გარეშე, იმიტომ, რომ იგი მამისაგან გამოდის. ასევე ეწოდება ძის სული, რადგან სული გამოდის ძისაგანაც.“

მაგრამ – ა) არ არის აუცილებელი, რომ ცალკეულ პირებს მიკუთვნებული სულიწმიდა ერთი და იგივე მიზეზით იყოს მოხსენიებული. სულიწმიდას ეწოდება მამის სული იმიტომ, რომ მისი თანაარსია, მისგან განუყოფელია, ასევე იმიტომ, რომ მამისაგან გამოდის იგი, რამეთუ წმ. წერილი ნათლად მოწმობს⁶ ამაზე.

ხოლო ძის სულად იწოდება მხოლოდ იმიტომ, რომ სულიწმიდა თანაარსია ძისა, იგი ძისაგან განუყოფელია მარადიულად, იგი მარადიულად იმყოფება მასში, მაგრამ ის, რომ იგი გამოდიოდეს ძისაგანაც მსგავსად მამისა, ანუ იწოდებოდეს ძიდან გამოსულად, არ არსებობს არანაირი საფუძველი არსად, არც დვთის სიტყვაში. ეკლესიის უძველესი განმანათლებლები ერთნაირად და ერთხმად იაზრებდნენ და აღიარებდნენ, რომ „სულიწმიდას ეწოდება სული ძისა, როგორც სული მამისა, რამეთუ მათი თანაარსია. ამასთან ისინი ხშირად მას უწოდებდნენ ძის სულს, მხსნელის სულს, არაუცხოს, არამედ მის სულს. მაგრამ ყოველთვის უარყოფდნენ აზრს იმის შესახებ, რომ იგი ძისაგანაც გამოდის.“⁷

ჩვენ უნდა ვიფიქროთ, რომ – ბ) მოციქულის მიერ წარმოდგენილ სიტყვებში საუბარია არა სულიწმიდაზე, როგორც დვთაებრივ პირზე, არამედ მის მადლმოსილ ნიჭებზე, მორწმუნება გულებზე გარდამოსულზე, სიყვარულის სულზე, თავისუფლების სულზე, რომლის შესახებაც თქვა მოციქულმა: „ვინაიდან არ მიგიდიათ მონობის სული, რათა კვლავ შიშით იყოთ, არამედ მიღებული გაქვთ შვილობის სული, რომლითაც კლაღადებთ: „აბბა, მამაო!“⁸

ამ აზრით გაგებული სული ბუნებრივად იწოდება ძის სულად. იმიტომ, რომ ძის უზენაესი, უსაზღვრო დამსახურებით მადლმოსილი ნიჭები მოგვენიჭება და გარდამოვლინება ჩვენს გულებს.⁹

5) ასევე მოჰყავთ¹⁰ მაგალითად სიტყვები პავლე მოციქულისა რომაელთა მიმართ: „თქვენ კი ცხოვრობთ არა ხორციელად, არამედ სულიერად, თუკი ღმერთის სული ცხოვრობს თქვენში; ხოლო ვისაც ქრისტეს სული არა აქვს, ის მისი არ არის.“¹¹

მაგრამ სულიწმიდა ძის სულად არის მოხსენიებული იმიტომ, რომ იგი მისი თანაარსია,¹² და იმიტომ, რომ იგი გარდამოგვევლინება ჩვენ ქრისტეს დამსახურების გამო.¹³ ამას გარდა, თუკი მოციქულის ამ სიტყვას განვიხილავთ მთლიანი

¹ Τα τον πατρος – τον νιον, και τα τον νιον – τον αγιον πνευματος εστι (chryst; in Ioann. hom. – LXVIII, al. LVII, n 2, in T VIII, p 407).

² იხ: „Правосл. Догмат. Богосл.“ Архим. Макарія, Томъ I, стр. 362.

³ გალ: 4, 6.

⁴ იხ: „Правосл. Догмат. Богосл.“ Архим. Макарія, Томъ I, стр. 362.

⁵ მათ: 10, 20.

⁶ იო: 15, 26.

⁷ Chrysost. homil. in Pentecost., T. XII, p. 814; ed. Montfauc. Paris. Hieronym. in Epist. ad Galat. lib II cap. 4;

⁸ რომ: 8, 15.

⁹ იხ: „Правосл. Догмат. Богосл.“ Архим. Макарія, Томъ I, стр. 364.

¹⁰ იხ: „Правосл. Догмат. Богосл.“ Архим. Макарія, Томъ I, стр. 364.

¹¹ რომ: 8, 9.

¹² იხ: Васил. вел. о Св Духе, гл. 18 въ Твор. св. Отц., VII, стр. 301.

¹³ Koppe, N. Test. perpet. annot. illustratum, vol. 1, p. 104, Götting. 1778.

შემადგენლობით, იგი შეიძლება ასე გავიგოთ: „თქვენ ცხოვრობთ არა ხორციელად, ცოდვილი ცხოვრებით, არამედ სულიერად, წმიდად; რამეთუ თქვენშია დამკვირდებული დკონის სული, ხოლო ვინც არ ცხოვრობს სულიერად, მას არ გააჩნია თავისში ქრისტეს სული, ე. ი. თუ ის არ იკვებება წმიდა ფიქრებითა და გრძნობებით, ისე როგორც ეს იყო ქრისტეში, მაშინ მას მე არ ვთვლი ქრისტიანად.“¹

პავლე მოციქულის VIII თავის პირველ მუხლში სიტყვა „ხორციელად“ იცვლება სიტყვით „სულიერად“, ხოლო გამოთქმა „აქვთ ქრისტეს სული“ შეესატყვისება გამოთქმას – „ქრისტე იესოში ცხოვრობენ“² და „ქრისტე თქვენშია“.³ აქ არ შეიძლება ითქვას, რომ მითითებაა ძისაგან სულიწმიდის მარადიულ გამომავლობაზე.

6) ბოლოს, მწვალებლები ცდილობენ დაამტკიცონ სულიწმიდის ძისაგან მარადიული გამომავლობა⁴ იოანე ღვთისმეტყველის სიტყვებიდან: „შეუბერა და უთხრა: „მიიღეთ სულიწმიდა.“⁵

მაგრამ თუკი მაცხოვარმა შებერვით გადასცა მოციქულებს სული წმიდა და ჩვენ ვიფიქრებთ, რომ აქედან გამომდინარეობს ძისაგან სულიწმიდის მარადიული გამომავლობა, მაშინ უნდა დავუშვათ, რომ სულიწმიდა გამოდის მოციქულებისაგანაც, რამეთუ მოციქულებიც გადასცემდნენ სულიწმიდას მორწმუნებს მათზე ხელდასხმით: „მაშინ დაასხეს ხელები მათ და მათაც მიიღეს სულიწმიდა.“⁶

უცნაურია ვამტკიცოთ, თითქოს მხესნელის მიერ სულის შებერვით ადინიშნება მარადიული გამომავლობა სულიწმიდისა ძისაგან, მოსეს სიტყვებიდან გამომდინარე: „გამოსახა უფალმა ღმერთმა ადამი მიწის მტვერისაგან და შთაბერა მის ნესტოებს სული სიცოცხლისა.“⁷ მაშინ უნდა დავასკვნათ, რომ ჩვენი სული მარადიულად გამოდის გამოდის ღმერთისაგან.

ეკლესიის მამები მრავალჯერ ამახვილებენ ყურადღებას იოანე მახარებლის სახარების ამ მუხლზე და ხსნიან სხვადასხვაგვარად: „ერთნი იმით, რომ მაცხოვრის მიერ სულის შებერვით მან შეამზადა მოციქულები მომავალში სულიწმიდის მისაღებად, მეორენი კი იმით, რომ მხესნელმა მიანიჭა მოციქულებს ძალაუფლება განხსნისა და შეკვრისა,⁸ მესამენი კი იმით, რომ მან მიანიჭა მათ მადლი და ძალა სულიწმიდისა, რამდენსაც ისინი დაიტევდნენ იმ დროისათვის ორმოცდამეათე დღემდე, სულიწმიდის გარდამოსვლამდე.“⁹ მაგრამ არც ერთი წმიდა მამა და განმანათლებელი არ მიიჩნევდა ტექსტის ამ სიტყვებში აზრს ძისაგან სულიწმიდის მარადიულ გამომავლობაზე.¹⁰

გ) ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, როგორი დასკვნა შეიძლება გამოვიტანოთ ამ საკითხის შესახებ?

გულწრფელობის გრძნობიდან გამომდინარე უნდა დავასკვნათ შემდეგი: მაშინ, როცა სწავლება სულიწმიდის მამისაგან მარადიული გამომავლობის შესახებ ნათლად და დაწვრილებითაც კი არის გაცხადებული წმ. წერილში, სწავლება სულიწმიდის ძისაგანაც გამომავლობის შესახებ უცნაური და წინააღმდეგობრივია წმ. წერილისათვის. იმიტომ, რომ წმ. წერილიდან არ მტკიცდება და სხვაგვარად მოაზროვნენი მრავალი მცდელობის მიუხედავად ვერც ამტკიცებენ სულიწმიდის ძისაგან მარადიულ გამომავლობას წმ. წერილის სულთან წინააღმდეგობის გამო.

¹ იხ: „Правосл. Догмат. Богосл.“ Архим. Макарія, Томъ I, стр. 365.

² რომ: 8, 1.

³ რომ: 8, 10.

⁴ იხ: „Правосл. Догмат. Богосл.“ Архим. Макарія, Томъ I, стр. 365.

⁵ იოანე: 20, 22.

⁶ საქ. მოც: 8, 17.

⁷ დაბად: 2, 7.

⁸ იოანე: 20, 23.

⁹ იხ: „Правосл. Догмат. Богосл.“ Архим. Макарія, Томъ I, стр. 365.

¹⁰ Chrysost. homil. LXXXVI ad. LXXXV post medium; Cyril. Hieros. Cathech. XIV et XVII; Athanas. de parabol. Evang. quaest.

სულიწმიდა დმერთის პიპოსტასური თვისება:

ბ) სულიწმიდის გამომავლობის საკითხის განხილვა წმ. მამების და ეკლესიის განმანათლებელთა საფუძველზე

